# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 21 ივნისი. 2016 წ. №113 (8005), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ეს ქართველი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებაა:
# ჩვენი გზები საბოლოოდ გაყრილია!



ოდესის წინასაარჩევნო ნაციონალური შტაბიდან მართული დავით ბაქრაძე და ნიკანორ მელია, იმის იმედით, რომ ხალხს თითქოს მოკლე მეხსიერება აქვს და უკვე აღარ ახსოვს ნაციონალების გუშინდელ ბოროტებათა ქარიშხალი, ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დაგლახაობენ და დღენიადაგ ეჩიჩინებიან აქაიქ შემორჩენილ გულუბრყვილო, მიამიტ მხარდამჭერ ამომრჩევლებს, ჩვენ ის ძველი, სააკაშვილის დროინდელი ნაციონალები აღარა ვართო, ჩვენ ისევ განახლებისა და განვითარების გზაზე დავაბრუნებთ „ოცნებისგან" სიკეთის გზას აცდენილ საქართველოსო.

ყველა საღი გონების საქართველოს მოქალაქეს კი ნაციონალთა ეს წინასაარჩევნო ქადაგება ასე ესმის:

ნაციონალები კი არ განახლდნენ, რაც შეუძლებელია: არ გათეთრდების ყორანი, ბევრიც რო ხეხო ქვიშითა!

პირიქით, განახლდება და ხალხის ახალ დამთრგუნველ ძალას შეიძენს ნაციონალების ათწლიანი რეჟიმის ყველა ზღვარს გადასული

ბოროტება!

უკეთურება!

სისასტიკე!

სიავე!

სიასპიტე!

ამიტომ ხალხის ერთადერთი მტკიცე პასუხია:

არა, ძაღლის გეჯაში მონათლულო ნაციონალებო, თქვენი კიდევ ერთხელ მოსატყუებელი კბილი ოთხი წლის წინათ მოვიცვალეთ! ვიცით, ოცნების ასახდენი გზით სიარული ადვილი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ათასგვარი სიძნელისა, ჩვენ მაინც ამ გზით ვივლით და მაინც ავიხდენთ კეთილდღეობის ჩვენს ქართულ ოცნებას!

უკან ვერანაირი ძალა, მით უმეტეს ერთხელ უკვე მწარედ ნაწვნევი, ველარ მიგვაბრუნებს!

შეეშვით მაცდურ, გველურ პოლიტიკას! ხელისუფლებაში ისევ მოხვიდეთ კი არა, თქვენ ჯერ ძველი ცოდვებისთვის უნდა აგოთ პასუხი, თქვენ ერისგან და ბერისგან, თვით ისტორიისგან განწირულნი ხართ, სააკაშვილი ამაოდ გაგლახავებთ, ჩამოგვეცალეთ გზიდან!

ჩვენი გზები საბოლოოდ გაყრილია!

## ფედერიკა მოგერინი:
## საქართველომ შეასრულა შესანიშნავი სამუშაო და რაც შეიძლება მალე იმსახურებს ამის აღიარებას



**„განვიხილეთ ვიზალიბერალიზაციის საკითხი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების კონტექსტში. ყველა წევრმა სახელმწიფომ მკაფიოდ აღნიშნა — ეჭვგარეშეა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა მოთხოვნა და ახლა თავმჯდომარე ქვეყანამ — ნიდერლანდებმა ეს საკითხი ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა სხდომის დღის წესრიგში უნდა შეიტანოს. ყველა წევრმა სახელმწიფომ აღიარა, რომ საქართველომ შეასრულა შესანიშნავი სამუშაო და იმსახურებს ამის აღიარებას, რაც შეიძლება მალე",** — განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე


- „ბიზნესკურიერის" ცრუბრალდებები და ნაციონალებს მიკედლებული ანზორ მელია ⑦
- ამერიკელი ბიზნესმენი დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ

## ლარისა და დო-ლარის მაფია ⑥

„15 წელიწადია, ეროვნული ბანკი ლარიზაციაზე ლაპარაკობს, მაგრამ ლაპარაკის გარდა, არაფერი კეთდება"

- რატომ არ იაფდება მობილურით საუბარი? ④
- დასრულდება შეჩერებული მშენებლობები?
- რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით

**გიორგი კვირიკაშვილი**

## პოლიტიკოსებს არ გვაქვს იმედგაცრუებისა და განაწყენების უფლება... ③




# ბიძინა ივანიშვილი: მე საქართველოს სწორი გზით განვითარებისთვის ვიბრძვი!

**გუშინ, თბილისში „ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესგარემო — მიღწევები და გამოწვევები". კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. მკითხველისთვის ამჯერადაც საინტერესო იქნება გააქტიურებული „პირველი მოქალაქის" ხედვები ეკონომიკის, პოლიტიკისა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომლებსაც მცირე ამონარიდების სახით გთავაზობთ:**



### „ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები ფორუმებზე იშვიათად ჩნდებიან"

**„დღევანდელ წარმომადგენლობას თუ შევხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძალას იკრებს ამ ტიპის ფორუმების გამართვა. დღეს მე-7 შეხვედრაა და მიზანი ასეთი ტიპის ფორუმების დაფუძნებისა გახლდათ ის, რომ ეკონომიკის, რომელიც გახლავთ ჩვენი ქვეყნის განვითარების საფუძველი, შეფასება არ გახლავთ იოლი. მმართველობის ის ტიპი, რომელიც ჩვენ დავაფუძნეთ ჩვენი პოლიტიკაში მოსვლის შემდგომ ეკონომიკასთან დაკავშირებით, მოითხოვს სწორ შეფასებებს.** ეს იყო საფუძველი და, ამავდროულად, ახალი იდეების მოწოდებაც შეიძლება ასეთი ტიპის ფორუმებზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი, რომ ფორუმებს დასწრებოდნენ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები, ექსპერტები, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილი ხელისუფლების მიმართ და იმ ეკონომიკის მიმართ, რომელიც 2012 წლის შემდგომ დაფუძნდა. ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები, დღესაც რომ ვუყურებ, მიუხედავად დაჟინებული ჩვენი თხოვნისა, ძალიან იშვიათად ჩნდებიან, მაგრამ მე ყველას არ ვიცნობ და იქნებ, მაინც მოხერხდეს კრიტიკული შეფასება ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მოღვაწეობის და, ზოგადად, ეკონომიკის შეფასება".

### „ანეკდოტური იქნება, რომ კვირიკაშვილი ხალხის ხმებს მოიპარავს..."

**„არავის აზრად არ ჰქონია მოსახლეობის ხმების მოპარვა, რაც ყველაზე დიდი სირცხვილი იყო ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.** ასეთივე იქნება და ასეთი მიზანი აქვს კვირიკაშვილსაც და იმდენად კარგად იცნობთ და გასაგებია მისი მოდელი, რომ ალბათ, ანეკდოტური იქნება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ კვირიკაშვილი ეცდება, ხალხის ხმები მოიპაროს, ან კორუფციაში ჩაეფლოს და ვილაცის ჯიბეში ჩაძვრეს. ასეთი მთავრობა გვყავს დღეს და არჩევნებიც უფრო კარგი უნდა ჩავატაროთ, ვიდრე წინა ორი იყო. იმედი მაქვს, საზოგადოების გაგების, სწორი ანალიზის".

### „კვირიკაშვილის მეთაურობით დღეს გვყავს მთავრობა, რომელიც იმართება საზოგადოებისგან, იმართება ბიზნესისგან"

**„შეგახსენებთ, რა ხდებოდა გასულ წლებში ჩვენს ქვეყანაში - უვარდებოდნენ ბიზნესს, ავიწროვებდნენ. ადამიანის უფლებების მხრივ მძიმე ვითარება იყო, ძალიან კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა ციხეებში. ერთ ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს - არაფრის.** რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში — ადამიანის უფლებების მხრივ ვითარება, მგონი, ევროპის ქვეყნების მსგავსი არ არის, მაგრამ შესადარი გახდა. არავინ ავიწროვებს ბიზნესს. მაქსიმალურად ყველფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები ძალიან ახლოს იყოს ევროპულთან. ამ დროს ეკონომიკა ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს. ისეთ დისბალანსს, როგორიც დღეს საქართველოშია, სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება. ამ დროს ხელისუფლებას უნდა შეეძლოს, რომ დაეხმაროს ხალხს. ჩვენ უნდა შევაფასოთ ხელისუფლება, რისი გაკეთება შეიძლებოდა და არ გააკეთა ან როგორ გააკეთა. ხელისუფლებამ უნდა დაანახოს საზოგადოებას ის, რასაც აკეთებს. თუ კიდევ ერთხელ შევადარებთ სხვაობას ეკონომიკასა და ადამიანის უფლებებს შორის, ძალიან დიდია და ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპებით განვითარება მოვახერხოთ. ჩვენ უნდა გადავლახოთ ეს დისბალანსი. არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ხელისუფლება კვირიკაშვილის მეთაურობით ჩაერევა ბიზნესის შევიწროებაში. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, რომ კვირიკაშვილის მეთაურობით დღეს გვყავს მთავრობა, რომელიც იმართება საზოგადოებისგან, იმართება ბიზნესისგან".

### „სიღარიბეს წარმოაჩენს ოპოზიციურად განწყობილი ძალები და მათგან მართული მედია"

**„მედია არის აბსოლუტურად თავისუფალი და ყველას აქვს უფლება ილაპარაკოს ის, რაც მათ სურს და წარმოაჩინოს ისე, როგორც მათ სურთ.** სიღარიბე, რომელსაც წარმოაჩენს ოპოზიციურად განწყობილი ძალები და მათგან მართული მედია, ქმნის გარკვეულ ხიბლს იმისა, რომ დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ეს არის ხელისუფლების ბრალი და ეს ხელისუფლება უნდა მოვიშოროთ და ნაცვლად სთავაზობენ არაარგუმენტირებულ და გაუაზრებელ დაპირებებს. ჩვენ უნდა შევაფასოთ ხელისუფლება, მთავრობა, მხოლოდ რეალურიდან.

ეიფორიული წინადადებებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანა შეიძლება გარკვეულ ხიფათთან იყოს დაკავშირებული და ამან შეიძლება, ქვეყანას პოლიტიკური სტაბილურობა დააკარგვინოს".

### „პირადი ბიზნესინტერესები საქართველოში არ მაქვს"

**„არავითარი ინტერესი გარდა ქვეყნის ინტერესისა, არ გამაჩნია. თანამდებობის ძიებაში მე არა ვარ, არც ბიზნესს ვაკეთებ საქართველოში და ამას მინდა, ხაზი გავუსვა. ჩემი როლი არ არის დღეს ბიზნესში პირადული, რადგან პირადი ბიზნესინტერესები საქართველოში არ მაქვს".**

### „თანაინვესტირების ფონდთან არსებული პროექტები მზად არის და ფასდაკლებით და შეღავათებით გადმოგცემთ"

**„თუ ნებისმიერი პროექტი დაგაინტერესებთ, რომელიც თანაინვესტირების ფონდთან კავშირშია, გადმოგცემთ ფასდაკლებით და შეღავათებით. ჩემი ერთადერთი მიზანი ამ პროექტებთან დაკავშირებით გახლავთ, რომ ტურისტული ბიზნესი და ეკონომიკა განვითარდეს.** ჩემი ერთადერთი საზრუნავი გახლავთ ის, რომ ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით განვავითაროთ. ამისთვის გვჭირდება, ეს არჩევნები ჩავატაროთ ღირსეულად. ასეთი არჩევნები უნდა ჩავატაროთ, რომ სალაპარაკო არ გახდეს მთელ მსოფლიოში და რაიმე ხინჯი არ ახლდეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს თქვენი ჩართულობის, საზოგადოების გაგების, სწორი ანალიზის, რომ სწორი არჩევნები გავაკეთოთ".

# მოგიწოდებთ ყველას, შევქმნათ მშვიდი და კონსტრუქციული წინასაარჩევნო გარემო!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკურ ძალებს, სახელმწიფო უწყებებს და საზოგადოებას საგანგებო განცხადებით მიმართავს.



პრემიერის მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

**საქართველოში საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო და მინდა, საგანგებო განცხადებით მივმართო პოლიტიკურ ძალებს, სახელმწიფო უწყებებს და მთელ საზოგადოებას.**

**უპირველეს ყოვლისა, მოვუწოდებ ყველას, უმოკლეს დროში მივიღოთ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსი, რომელსაც, იმედი მაქვს, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ყველა პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა შეუერთდება. ცნობილია, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო უკვე იხილავს ამ საკითხს, რაც უდავოდ მისასალმებელია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, და ამ განცხადების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, რომ ქცევის კოდექსში ჩადებულ პრინციპებზე შედგეს საზოგადოების ფართო კონსენსუსი. კონსენსუსი, რომ არ იქნება გამოყენებული ძალადობრივი მეთოდები, სიძულვილის ენა, ოპონენტების შეურაცხყოფა, ღირსების შემლახველი ქმედება; ასევე, უზრუნველყოფილი იქნება განსხვავებული აზრის პატივისცემა.**

**მინდა, მოვუწოდო სახელმწიფო უწყებებს, მის თითოეულ თანამშრომელს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ ნაბიჯებს, რათა არ მოხდეს მათი შესაძლო გამოყენება რომელიმე მხარის სასარგებლოდ, მიუხედავად პოლიტიკური სიმპათიისა. უაღრესად მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს რესურსზე მაქსიმალურად თანაბარი ხელმისაწვდომობა. მინდა, ყველას მოვუწოდო, არ დაუშვათ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის.**

**როგორც მმართველი გუნდის ლიდერმა, მინდა, მივმართო ჩვენს მომხრეებს:**

**ჩვენი ხელისუფლების მთავარი სიძლიერე და უპირატესობა სწორედ მის დამოკიდებულებაშია ოპონენტების და განსხვავებული აზრის მიმართ. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ეს მიდგომა და არავის მივცეთ საფუძველი კითხვის ნიშანი გაუჩნდეს ჩვენი მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით. ჩვენ ეს არ გვჭირდება, რადგან ისედაც გვაქვს ხალხის დიდი მხარდაჭერა!**

**განსაკუთრებით მივმართავ პოლიციას! ყველაფერი უნდა გაკეთდეს არამარტო წესრიგის უზრუნველსაყოფად, არამედ დაძაბულობისა და ესკალაციის ნებისმიერი გამოვლინების პრევენციისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებს და ყველგან, სადაც დაპირისპირების რისკი მაღალია, უნდა მოხდეს მაქსიმალური მობილიზება. სახელმწიფო სტრუქტურების და ინსტიტუტების ვალდებულებაა, უზრუნველყონ ყველა პოლიტიკური ძალის, განსაკუთრებით კი, ოპოზიციის კამპანიის შეუფერხებლად წარმართვა.**

**უკვე დაწყებულია რეგიონებში ამომრჩეველთან შეხვედრები. ჩვენი ხელისუფლება უზრუნველყოფს თანაბარ, მშვიდ და კონსტრუქციულ წინასაარჩევნო გარემოს.**

# პრეზიდენტი ვანო მერაბიშვილის შეწყალების საკითხს არ განიხილავს

**პრეზიდენტი არ განიხილავს ვანო მერაბიშვილის შეწყალების საკითხს, — აცხადებს პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე. მისივე თქმით, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არის მძიმე გადაწყვეტილება და ამას უნდა მოჰყვეს კონკრეტული პირების შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა.**

კითხვაზე, კონკრეტულად რომელი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე საუბრობს, კოჟორიძემ უპასუხა, რომ ვისაც ევალებოდა და ვინც მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირები იყვნენ და ვინც ჩათვალა, რომ გამოძიება არ უნდა დაწყებულიყო, ეს გადაწყვეტილება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ამაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება, რატომ გადაწყდა მაშინ, რომ პროკურატურას გამოძიება არ უნდა დაეწყო.

# რესპუბლიკური პარტია 50-მდე წევრმა დატოვა

**რესპუბლიკური პარტია 50-მდე წევრმა დატოვა. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლიდერების მიერ „ქართულ ოცნებასთან" ორპარტიული გადაწყვეტილების გაფორმება გახდა.** დიდუბის ოფისის წევრების განცხადებით, პარტიიდან წასულები ამ ეტაპზე არცერთ პოლიტიკურ გუნდთან თანამშრომლობას არ გეგმავენ.ყოფილმა „რესპუბლიკელებმა" განცხადება „რესპუბლიკელების" ოფისში უკვე გადააგზავნეს.

# საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები

**2016 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (621 მლნ. აშშ დოლარი), კანადა (458 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (322 მლნ. აშშ დოლარი), — აცნობეს მედიანიუსს საქსტატიდან.**

2016 წლის იანვარ-მაისში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 127 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 16 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 66 მლნ. აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 8 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 63 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8 პროცენტი შეადგინა.

**გერმანიაში ვიზიტის დასრულების ჟამს, სამშობლოში გამომგზავრების წინ, საქართველოს პრემიერ- მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ინტერვიუ მისცა გერმანულ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველეს“ („გერმანულ ტალღას“) და მის კორესპონდენტ ნიკიტა ჟოლკვერს უვიზო რეჟიმთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ქართველ კრიმინალებზე, ნატოში გაწევრებასა და, საერთოდ, გერმანია-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებზე ესაუბრა.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს სრულ ტექსტს.**



# პოლიტიკოსებს არ გვაქვს იმედგაცრუებისა და განაწყენების უფლება...

**— გერმანიის კანცლერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე თქვენ საუბრობდით საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე, ევროკავშირთან ასოცირებაზე, რომლის შესახებაც შეთანხმება უკვე ხელმოწერილია. რას აძლევს კონკრეტულად საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნის სტატუსი?**

— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გვაძლებს ქვეყნის რეფორმირების, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების, მეტი ინვესტიციის მოზიდვის, ევროპულ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობისა და ევროკავშირთან პოლიტიკური დაახლოების საშუალებას. იზრდება საქართველოს მიმზიდველობა ინვესტორებისთვის მეზობელი ქვეყნებიდან, ცენტრალური აზიის, სპარსეთის ყურის სახელმწიფოებიდან.

**— ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი უკვე მოქმედებს, მაგრამ გერმანული ეკონომიკის აღმოსავლური კომიტეტის მონაცემებით, ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ვერც ერთმა ქვეყანამ — ვერც საქართველომ, ვერც უკრაინამ და მოლდოვამ ვერ შეძლეს ექსპორტის გაზრდა ევროპის ბაზარზე... რატომ მოხდა ასე?**

— ვფიქრობ, რაღაც სტატისტიკური შეცდომაა... რაც შეეხება საქრთველოს, ჩვენი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში ძალიან ბევრ სახეობებში გაფართოვდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა იმ საწარმოებში, რომლებიც ევროპულ ბაზარზე არიან ორიენტირებული — ევროპულ ბაზარზე გადართვა, ევროპული სტანდარტების პროდუქციის წარმოება ხომ დამატებით ინვესტიციებსა და დამატებით ძალისხმევას მოითხოვს... ასე რომ, ეს ყველაფერი დროის საკითხია.

**— ბერლინში თქვენ უვიზო რეჟიმის თაობაზეც იმსჯელეთ. ევროკომისიამ დაადგინა, რომ საქართველომ ყველა მოთხოვნა პირნათლად შეასრულა და ვიზების გაუქმების რეკომენდაცია გასცა, მაგრამ მოგვიანებით ახალი დაბრკოლებები წარმოიქმნა — საქართველოს იმ მოქალაქეების რეადმისიის საკითხი, რომლებიც გერმანიაში უვიზოდ ჩამოვლენ და მერე აქ თავშესაფრის მიღების მოითხოვენ. იმედგაცრუებული ხართ სავიზო რეჟიმის დაწესების გაჭიანურებით?**

— საქართველომ ევროკომისიის ყველა მოთხოვნა შეასრულა — ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამავე დროს, მე მესმის, რომ ევროკავშირში უამრავი პრობლემა არსებობს, უპირველეს ყოვლისა, მიგრანტებთან დაკავშირებით. ჩვენ გვესმის ევროკავშირის მოქალაქეების სენსიტიურობა ამ საკითხებისადმი. ასე რომ, სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის დანერგვა, რომელსაც ევროპარლამენტი მიმდინარე წლის ივლისში დაამტკიცებს, მოგვცემს არსებული საშიშროების განეიტრალების საშუალებას. ვფიქრობ, უკვე სექტემბერში შესაძლებელი იქნება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესის დასრულება. იმედგაცრუებული ვარ თუ არა? პოლიტიკოსებს არა გვაქვს იმედგაცრუებისა და განაწყენების უფლება...

**— კიდევ ერთი დელიკატური პრობლემა — ქართველი დამნაშავეები გერმანიაში. საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც გერმანიაში ჩამოდიან და თავშესაფარს ითხოვენ, მაინცდამაინც დიდი არაა. ასევე მცირეა პროცენტული მონაცემებიც ლტოლვილთა შორის ქართველი დამნაშავეების თაობაზე, მაგრამ საქართველოს იმ მოქალაქეებს შორის, რომლებმაც გერმანიაში თავშესაფარზე განცხადება დაწერეს და გადაწყვეტილებას ელოდებიან, დამნაშავეთა წილი ძალიან დიდია. მათი სპეციალობა ბინების ქურდობაა. როგორ ებრძვით ამ მოვლენას?**

— თქვენ აბსოლუტურად სწორად აღნიშნეთ, რომ ქართველების წილი უცხოელების მიერ გერმანიაში ჩადენილ დანაშაულების სტატისტიკაში ძალიან მცირეა — სულ 0,9%, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვუყურებთ. ჩემთან ერთად გერმანიაში ჩამოვიდა ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრიც. იგი ერთი თვის წინათ უკვე იყო გერმანიაში და საკმაოდ მჭიდრო სამუშაო კონტაქტები დაამყარა აქაურ უწყებასთან. გარდა ამისა, საქართველოს საელჩოში პოლიციის ატაშეც მუშაობს. ასე რომ, ამ მიმართულებით მუშაობა ძალიან აქტიურად მიდის. შედეგი კი ის იქნება, რომ „ქართული კრიმინალი“ საქართველო-გერმანიის ურთიერთობაში ნეგატიურ როლს აღარ შეასრულებს.

**— და მაინც, როგორია თქვენი მოქალაქეების ბედი, რომლებსაც გერმანიის პოლიცია დანაშაულის ჩადენისას იჭერს და შემდეგ კი მათ დეპორტაციას ახდენს საქართველოში? რამდენია მათ შორის უკვე მსჯავრდებული?**

— სასამართლო პროცესიდან, რომელიც, კანონის თანახმად, დეპორტაციას აუცილებლად მოჰყვება, თავს ვერავინ დაიძვრენს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ გერმანიის მხარის მოთხოვნა რეადმისიის თაობაზე ჩვენი მხრიდან 98%-ით სრულდება, ანუ როცა გერმანიიდან საქართველოში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელს აძევებენ, ისინი ავტომატურად ხვდებიან საპყრობილეში.

**— ბერლინში თქვენი მოლაპარაკების კიდევ ერთი თემა იყო საქართველოს ურთიერთობა ნატოსთან. აქ განსხვავება მიდგომებშია: თქვენ გსურთ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია, გერმანიის კანცლერს კი სხვა თვალსაზრისი აქვს — მას აშკარად არ სურს ხელი შეუწყოს ნატოში საქართველოს გაწევრებას. როგორ ფიქრობთ ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც საქართველო ალიანსის წევრი გახდება?**

— საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესი დროის საკითხია. ის რეფორმები, რომლებსაც ამ მიმართულებით ვახორციელებთ, მნიშვნელოვანია ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ამავე დროს, ჩვენ ვცდილობთ, გავუგზავნოთ რუს პოლიტიკოსებს სიგნალები იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთის მტერი არ არის, ხოლო ნატოში წევრობა ჩვენთვის რუსეთთან კონფრონტაციის ელემენტს არ წარმოადგენს.

**— ჰო, მაგრამ რუსეთში ამ საკითხს სხვაგვარად უცქერიან...**

— დიახ, გასაგებია, თუმცა უნდა გავიდეს გარკვეული დრო, რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის კონსტრუქციულმა პოლიტიკამ და პრაგმატულმა მიდგომამ შედეგი გამოიღოს. სამწუხაროდ, გასულ წლებში ყველა მხარემ დაუშვა შეცდომები. საქართველოს ორი ტერიტორია ოკუპირებულია, იქ რუსული სამხედრო ბაზებია განთავსებული, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დადებითი ფაქტორი არ არის.

**— და როგორ ცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ამ პრობლემის მოგვარება მოხდება მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების საფუძველზე. რაც შეეხება ნატოს წევრობას, ეს რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს — რომ მას ჰყავდეს სტაბილური პარტნიორი სამხრეთ საზღვართან. ჩვენ არ ვაპირებთ სამხედრო ძალის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს გამორიცხულია. ნატოს წევრობა ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში სტაბილურობის გასაძლიერებლად გვჭირდება. ამას გარდა, ნატო მხოლოდ სამხედრო ბლოკი არ არის. ეს არის სახელმწიფოთა კავშირი, რომელშიც არსებობს ადამიანის უფლებების საერთო სტანდარტები, საერთო დემოკრატიული ნორმები. საქართველომ მიზნად დაისახა, გახდეს დემოკრატიული სახელმწიფო, ააშენოს ინსტიტუციური დემოკრატია. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენ მივისწრაფვით ნატოსკენ.

**— იმ დღეს, როცა თქვენ ანგელა მერკელს შეხვდით და მოლაპარაკება გამართეთ, გაზეთმა „ფრანკფურტერ ალჰემაინე ცაიტუნგმა“ მთელი გვერდი საქართველოს რეკლამას დაუთმო. რა მიზნით დახარჯეთ ამდენი ფული ასეთ რეკლამაზე?**

— გერმანულმა საზოგადოებამ საქართველო დადებითი მხრიდანაც უნდა გაიცნოს. კამპანია ქართველ დამნაშავეთა შესახებ გადაჭარბებულია. ქართველებს გვაქვს ის ყველაფერი, რაც ჩვენ გერმანელ მეგობრებს შეგვიძლია შევთავაზოთ, ვაჩვენოთ. ის მიღწევები, გარდაქმნები, რასაც ჩვენ დინამიკურად განვითარებად და დემოკრატიულ ქვეყანაში ვახორციელებთ, გერმანელი მეგობრებისთვისაც უნდა გახდეს ცნობილი. ამგვარი პუბლიკაციების მიზანია იმ წარმატებების კომუნიკაცია, რომლებითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ.

SOS!

## მუსიე ნიკოლა სარკოზიმ და მადამ ანგელა მერკელმა „დაგვღუპეს“!

**საფრანგეთის ექსპრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადებით, საფრანგეთმა და გერმანიამ სწორი ნაბიჯი გადადგეს, როდესაც საქართველოს ნატოში გაწევრება არ დაუშვეს.**

ამის შესახებ სარკოზიმ სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც მაღალ დონეზე შეაფასა რუსეთის როლი ევროპული და საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში და რუსეთისათვის სანქციების მოხსნის სურვილი გამოხატა.



**„საქართველოს კრიზისი 4 დღეში ისე გადავწყვიტეთ, სიტუაცია ისე მოვაგვარეთ, რომ არცერთს თავისი სახე და ღირსება არ დაუკარგავს.. ვის შეუძლია ცუდის თქმა? არავის... 2008 წელს, ნატოს ბუქარესტის სამიტზე, მე წინააღმდეგობა გავუწიე, სხვათა შორის, მადამ ანგელა მერკელთან ერთად, საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრებას. ჩვენ რომ ჯორჯ ბუშის დაბეჯითებული მოთხოვნისათვის დაგვეჯერებინა და საქართველო ნატოს წევრად მიგვეღო, 2008 წლის კონფლიქტს უფრო მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა. მე მინდა, რომ საფრანგეთს ნატოს სარდლობაში თავისი ღირსეული ადგილი ჰქონდეს, მაგრამ მე ამასთან ერთად ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აღარ ვცხოვრობთ, ვარშავის პაქტის დრო უკვე ჩავლილია, ცივი ომი დასრულდა და ამიტომ ნატოს რუსეთთან კონფრონტაცია აღარ უნდა ჰქონდეს“,** — განაცხადა სარკოზიმ.

* * *

**ეეჰ, ქართველებო, ამ ორ დიდ ევროპელ პოლიტიკოსს დავუღუპივართ, თორემ ახლა კარგა ხნის ნატოელები ვიქნებოდით!**

## ზაქარია ქუცნაშვილი: თუ კვალიფიციური პარტიები იყოფენ ფულს, სარეკლამო დროს რომ გაიყონ, არაფერი დაშავდება

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, 28 წამი საკმარისია იმისთვის, რომ პარტიებმა თავისი სათქმელი მიიტანონ ამომრჩევლამდე. ამის შესახებ ქუცნაშვილმა უფასო სარეკლამო დროის ახლებურად გადანაწილების შესახებ, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების კომენტირებისას განაცხადა, რომელსაც პარლამენტმა მესამე მოსმენით უნდა უყაროს კენჭი.**



**„მიმაჩნია, რომ თუ კვალიფიციური პარტიები იყოფენ ფულს, დროც რომ გაიყონ, არაფერი დაშავდება ამით. კვალიფიციური პარტია შეძლებს, რომ 28 წამში მიიტანოს თავისი სათქმელი ამომრჩეველთან, მითუმეტეს, ეს 28 წამი ყოველდღე ექნებათ ჩვენს პარტიებს და საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მთავარი სათქმელი მიიტანონ ამომრჩეველთან“, — განუცხადა ჟურნალისტებს ზაქარია ქუცნაშვილმა.**

**საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილება, რომელიც 5 კვალიფიციური პარტიისთვის გამოყოფილი უფასო სარეკლამო დროის 11 პარტიაზე გადანაწილებას გულისხმობს, პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო. არასაპარლამენტო ოპოზიცია ცვლილებას უსამართლოდ მიიჩნევს და სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, საარჩევნო კოდექსში შესატან ალტერნატიულ ცვლილებებს ამზადებს.**

ტარიფები



# რატომ არ იაფდება მობილურით საუბარი?

**ბოლო დროს თვალშისაცემად გაძვირებული მობილური კავშირგაბმულობის ტარიფები, შესაძლოა, შემცირდეს. მთავრობა და მარეგულირებელი კომისია ცდილობენ, სხვადასხვა მექანიზმით გამოიწვიონ ტარიფის კლება, მაგრამ ბაზარზე საპირისპირო ვითარებაა. ბოლო პერიოდში 1 წუთის ღირებულება მუდმივად იზრდება.**

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევ პირებს აქციზის გადასახადს უუქმებს. პარლამენტი კანონპროექტს დაჩქარებული წესით განიხილავს და ჯერჯერობით არანაირი წინაღობა არ შეხვედრია. დიდი ალბათობით, კანონპროექტი დამტკიცდება კიდეც.

კანონპროექტის მიხედვით, მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის დაწესებული აქციზის არსებული 8%-იანი განაკვეთი 2017 წლის 1 იანვრამდე შენარჩუნდება, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განაკვეთი 3%-მდე შემცირდება.

„ტელეკომ ოპერატორების ასოციაციის“ ხელმძღვანელი უჩა სეთური მიიჩნევს, რომ აქციზის გადასახადის გაუქმება კომპანიებს სატარიფო პოლიტიკის გადახედვის და მისი შემცირების შესაძლებლობას მისცემს.

„ტელეკომ ოპერატორების ასოციაციის“ ხელმძღვანელი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ თავის დროზე, როდესაც მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევაზე აქციზის 10%-იანი განაკვეთი დაწესდა, კომპანიები ამას დადებითად არ შეხვედრიან, რადგანაც ეს პირდაპირი ხარჯი იყო მათთვის. აქედან გამომდინარე, უჩა სეთური აღნიშნულ ინიციატივას მიესალმება.

მობილურ ქსელში საუბრისას ტარიფის ძირითადი კომპონენტებია: ზარის წამოწყებისა და დასრულების, ურთიერთჩართვის, აქციზისა და დღგ-ს გადასახადები. აქციზის გაუქმებით კი მობილურ ოპერატორებს ხარჯები შეუმცირდებათ, შესაბამისად, შესაძლებელი გახდება ტარიფების გადახედვა. თუმცა, მათ ამის ვალდებულება არა აქვთ. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აღნიშნავენ, რომ ტარიფების შემცირება-არშემცირება მხოლოდ კომპანიების გადაწყვეტილებაა და ამაში კომისია ვერ ჩაერევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიჭური კავშირგაბმულობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ტარიფების სიდიდით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო პერიოდში მობილური ოპერატორები მუდმივად ზრდიან მომსახურების საფასურს. „ბილაინი“ და „მაგთი“ გაძვირების პროცესში პირველობას არავის უთმობენ.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია მოუწოდებს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომ დაინტერესდეს კომპანია „მაგთიკომის“ ტარიფების ზრდის მიზეზით და თავად კომპანიამაც გამოიხატოს მკაფიო, დასაბუთებული პოზიცია, თუ რითია განპირობებული არსებული ტარიფების დასაშვებ მაქსიმალურ ზღვრამდე ზრდა. მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელმა კომისიამ გაითვალისწინოს მომხმარებელთა ინტერესები და ეცადოს, რომ ბაზარზე ტარიფები არათუ გაიზარდოს, არამედ შემცირდეს.

აფბა-ს შეფასებით კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებს კომპანია „მაგთიკომის“ მიმართ, ვინაიდან იგი უახლოეს პერიოდში ინტერნეტპროვაიდერ „კავკასუს ონლაინს“ შეიძენს, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე უდიდეს წილს მიიღებს და ბაზარზე ფაქტობრივად მონოპოლიურ მდგომარეობას მოიპოვებს. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი სათანადო რეაგირებას არ მოახდენს „მაგთიკომის“ მიერ ტარიფების ზრდასთან დაკავშირებით, „კავკასუს ონლაინის“ შეძენის შემდგომ, არაა გამორიცხული ტარიფები გაიზარდოს ინტერნეტბაზარზეც.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ საჭიროა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, კიდევ ერთხელ გამოიკვლიოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარი და შეამციროს არსებული მაქსიმალური ზღვრული ტარიფი.

**„გასათვალისწინებელია, რომ თუკი 6 წლის წინათ კომპანიებს 1 წუთის ღირებულება 15-16 თეთრი უჯდებოდათ, დღეს ეს ყველაფერი გაცილებით ნაკლები ჯდება, რადგან ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება. მაშინ როდესაც, მსოფლიოში ტარიფები მცირდება, ჩვენთან იგი მაქსიმალურ დასაშვებ ზღვრამდე არ უნდა იზრდებოდეს“,** — აცხადებენ აფბა-ში.

**ბექა დანელია**

ბინათმშენებლობა

# დასრულდება შეჩერებული მშენებლობები?

**თბილისის მერია შეჩერებულ მშენებლობებთან დაკავშირებით სამშენებლო კომპანიებისთვის ახალი მექანიზმების შეთავაზებას აპირებს.**

საუბარია იმაზე, რომ ახალ კომპანიებს შეიძლება მიეცეთ ძველი მშენებლების ვალდებულებათა გადაბარების უფლება. თუკი მათ უფრო მაღალ სამშენებლო კოეფიციენტს მისცემენ, ახალი კომპანიები მშენებლობებს დაასრულებენ და იმ ადამიანებს დააკმაყოფილებენ, ვინც ბინებს წლების განმავლობაში ელოდება.

მერიის ინფორმაციით, 100-მდე საცხოვრებელი კორპუსი სხვადასხვა ეტაპზეა გაჩერებული. ზოგიერთი მათგანის დასრულებას შედარებით მცირე რესურსი სჭირდება, ზოგიერთი კი საწყის სტადიაზეა. მათ შორის არის ისეთი რთული მშენებლობები, სადაც ერთი და იგივე ბინები რამდენჯერმეა გადაყიდული.

თბილისის მერმა თქვა, რომ ცენტრალურ მთავრობასთან ერთად მიღებულია გადაწყვეტილება, ასეთი მშენებლობები დამატებითი ღირებულების გადასახადისა და, ასევე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისგან გათავისუფლდეს, რაც „ბიძგის საფუძველი“ იქნება.

რაც შეეხება კოეფიციენტს, ეს მშენებლობები შეიძლება გამონაკლისი აღმოჩნდეს თბილისში, რამდენადაც მაისის ბოლოს საკრებულომ ქალაქის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელ სახლებზე K2 კოეფიციენტის გადამეტებაზე შეზღუდვა დაამტკიცა. ეს ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქში უკვე ამოქმედდა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი შენობების აგებაზე ახალ წესებს ამკვიდრებს — კერძოდ, ვერ შეიცვლება არსებული კოეფიციენტი, ანუ, ვთქვათ, ორსართულიანი სახლის ადგილას ვერ აშენდება 10-სართულიანი შენობა.

ცვლილების ავტორები ამბობენ, რომ ეს შეზღუდვა დროებითია და თბილისის განაშენიანების გეგმის დამტკიცებამდე იარსებებს. ასევე, ამ ცვლილების თანახმად, იზღუდება განაშენიანების უფლება გამწვანებულ ტერიტორიებზე, თუმცა როგორ განხორციელდება ეს შეზღუდვა, როცა მწვანე ნარგავებს განგებ ახმობენ და შემდეგ მოწმენდილ ადგილებზე მშენებლობას იწყებენ, ეს მერიაში აღარ განუმარტავთ.



საინტერესოა, რომ K2 კოეფიციენტის შეზღუდვამ უკვე გააჩინა მოლოდინი მშენებლებსა და საზოგადოებაში, რომ სამშენებლო ბუმი ცენტრალური რაიონებიდან თბილისის გარეუბნებისკენ გადაინაცვლებს.

ამ დღეებში თბილისის მერის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი აჩენს ახალ შანსს მათთვის, ვისაც ცენტრალურ რაიონში უნდა მშენებლობის გაგრძელება და ბინის ყიდვა.

თუმცა გაჩერებულ მშენებლობებს ვალებთან ერთად საკმაოდ ბევრი ვალდებულებაც ახლავს ხოლმე და ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდება ამ სიტუაციაში მომგებიან კომერციულ გადაწყვეტილებებამდე მისვლა.

**ირინა გურული**

რეიტინგი

# ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით

**ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის „ჰერითეიჯ ფაუნდეიშნლის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევით, 2012 წლიდან მოყოლებული, ანუ ხელისუფლების სათავეში კოალიცია „ქართული ოცნებას“ მოსვლის შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსმა 3,2 პუნქტით მოიმატა და ამჟამად 72,6 ქულას შეადგენს.**

კვლევის ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამ მაჩვენებლით „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების რეიტინგ 2016“-ში შესული საქართველო მსოფლიოში 23-ე ადგილზეა. თუმცა კი ევროპის მასშტაბით გაცილებით მოწინავე პოზიცია უკავია, სადაც მე-12 პოზიციაზეა. აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს მიღწევა, პირველ ყოვლისა, **საჯარო ფინანსების წარმატებული მენეჯმენტის, ბაზრის გახსნილობისა და ეკონომიკის რეგულირების ეფექტიანობის შედეგია.**

ვაშინგტონური „ჰერითეიჯ ფაუნდეიშნლი“ დიდად გავლენიანი კონსერვატიული ორგანიზაციაა, რომლის „თავისუფალი ეკონომიკის ინდექსის 2016 წლის გამოკვლევა“ მსოფლიოს 186 ქვეყანას მოიცავს. მისი ექსპერტების აზრით, ეკონომიკური თავისუფლება ყველა ადამიანის მიერ თავისი შრომისა და საკუთრების გაკონტროლების ფუძემდებლურ უფლებას გულისხმობს, რაც თავისუფალი საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ისინი **ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს აფასებენ კანონის უზენაესობის, მთავრობის გარკვეული შეზღუდულობის, მარეგულირებლის ეფექტიანობის, ღია ბაზრისა და ინვესტიციების თავისუფლად განთავსების შესაძლებლობის მიხედვით.**

„გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ საკმაო მდგრადობა გამოიჩინა. ფისკალურმა კონსოლიდაციამ მთავრობას მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაკონტროლების შესაძლებლობა მისცა. საქართველოს სწრაფვა დიდი ეკონომიკური თავისუფლებისკენ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგრადობითაა განპირობებული“, — ნათქვამია კვლევის ანგარიშში.

კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, „უმეტესად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რეიტინგის“ მოწინავე ქვეყნები არიან **კანადა, ირლანდია, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.** „თავისუფალი ქვეყნები“ სხვებთან ერთად არიან **ჰონგ კონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ავსტრია.** „შედარებით თავისუფალი ქვეყნები“, კვლევის მიხედვით, არიან **პოლონეთი, ურუგვაი, კვიპროსი, ესპანეთი, ბელგია, ბარბადოსი, იორდანია, პერუ, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი.** აღსანიშნავია, რომ „უმეტესად არათავისუფალი ქვეყნები“ არიან **შრი ლანკა, სვაზილენდი, ტონგა, ყირგიზეთი, ბუტანი.** „რეპრესირებული ქვეყნების“ რიცხვში კი ჩამოთვლილია **ლაოსი, ანგოლა, ბელარუსი, ბირმა, უკრაინა, კუბა, ჩრდილოეთ კორეა** და კიდევ მრავალი სხვა ქვეყანა.

# მდიდრები და ღარიბები

**ამერიკული გამოცემის „გლობალ ფაინენშ მეგეზინის“ ვერსიით, მსოფლიოს უმდიდრეს 185 ქვეყანას შორის საქართველო 113-ე ადგილზე მოხვდა.**

გამოკვლევა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით შესრულდა. რეიტინგის საფუძვლად გამოცემამ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების რეიტინგი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ცხოვრების შედარებითი ღირებულებისა და ინფლაციის დონეებთან პარიტეტის მიხედვით შეადგინა.

აღმოჩნდა, რომ **2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 8,2 ათასი დოლარი შეადგინა.** მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა ამ თვალსაზრისითაა **ყატარი,** რომელსაც მოსდევენ **ლუქსემბურგი, სინგაპური, ბრუნეი და ქუვეიტი.** ყველაზე ღარიბი ქვეყნები კი (180-დან 185-ე ადგილამდე) არიან **კონგო, მალავი, ლიბერია, ბურუნდი და ცენტრალურ-აფრიკული რესპუბლიკა.**

რაც შეეხება საქართველოს უახლოეს სამეზობლოს, მათ შორის ყველაზე მდიდარია რეიტინგის 51-ე ნომერი **რუსეთი,** რომელსაც მოსდევს **თურქეთი** (62-ე ადგილი), **აზერბაიჯანი** (64-ე ადგილი) და **სომხეთი** (116-ე ადგილი).

**ოთარ ტურაბელიძე**

# არ ჩამოვარდე, იაკობ!

**ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის იაკობი, გვარად ლეჟავა, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან უკვე მეორედ მეხმიანება და თან ჩემს უმოწყალო დატუქსვასაც განაგრძობს.არც ის ვიცი,იმ კაცს საერთოდ ესმის თუ არა,რისთვის აიღო ხელში კალამი, ან რატომ სჯერა,რომ ორიოდე აფორიზმის დაზუთხვით უთუოდ ჭეშმარიტების ჰიმალაიზე დაიმკვიდრებს სასუფეველს?! „ქორიძეს აწი არაფერი ეშველებაო,“ — თანაგრძნობით შენიშნავს ჩვენი ასკლეპიოსი და, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ თვითონ უკვე ნაშველიცაა და გამოლოცვილიც.**

## ისემც კარგი დაგემართოს, იაკობ!

იმდენი სისულელე, რამდენიც ახლახან მის ნაწერში ამოვიკითხე,კარგა ხანია,არსად გამიგონია.უდავოა,რომ უმეცრება, მაშინაც კი, როცა ის გაზეთის ფურცლებიდან იწონებს თავს, — მაინც უმეცრებად რჩება.

მიუხედავად ამისა, იაკობთან გაბაასება, შესაძლოა,უსარგებლო სულაც არ აღმოჩნდეს. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება თავისი მოუღლელი კალამი განზე გადადოს და წიგნის კითხვას მიჰყოს ხელი?

## მასაც ეშველება და ჩვენც დაგვადგება საშველი!

სხვა შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენი ნამდვილად არ უნდა იყოს იმ კაცის ფსიქიკური მდგომარეობა, ვის თავშიც აი, ასეთი „ღრმააზროვანი“ დაკვირვებები მწიფდება: **„გამსახურდიას მთავრობამ დამოუკიდებლობის დღე რატომღაც 26 მაისიდან 9 აპრილს გადმოიტანა, იმიტომ ხომ არა, რომ ეს დღე — 26 მაისი, საქართველოს მეორე ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეს ემთხვეოდა, რაც არ აწყობდათ გამსახურდიას მომხრეებს და დიდი ალბათობით, არც თავად გამსახურდიას“.** მეტიც: იაკობის აზრით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმიც მაშინდელმა ხელისუფლებამ, თურმე **„სპეციალურად დაამთხვია“** ზვიად გამსახურდიას იუბილეს.

იაკობ! ამ აბდაუბდას დღეს გამსახურდიას თვით ყველაზე დამთხვეული ოპონენტებიც კი აღარ იმეორებენ.ბევრმა მათგანმა უკვე დიდი ხანია, გულწრფელად ირწმუნა, რომ ზვიადის და მერაბის მეტოქეობა მხოლოდ დემაგოგების და პოლიტიკური შარლატანების მიერ მოგონილი სიცრუე იყო და რეალობასთან საერთო არც არასოდეს არაფერი ჰქონია.

იაკობის „ლოგიკას“ რომ მივყვეთ, ალბათ, ისიც უნდა ვივარაუდოთ,რომ ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა, უწინარესად, სწორედ მერაბ კოსტავას ჯიბრით გამოაცხადა და თავადაც სამშობლოს თავისუფლებას იმიტომ შეეწირა, რომ მეგობრის მიმართ აკვიატებული შური ამოძრავებდა...

**აი, სადამდე შეიძლება მივიდეს თავგასული უმეცრება და უაზრო გაგულისება!**

ახლა იაკობის კიდევ ერთ ახირებას დავუგდოთ ყური: **„ეს გადაწყვეტილება** (იგულისხმება1991 წლის 9 აპრილის აქტი), **არ გაიზიარა** ქართველმა საზოგადოებამ... იმ აბსოლუტურად ობიექტური მიზეზით, რომ საქართველო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებდა პატივს და უცებ, **ერთ წელიწადში** ხსოვნის დღის ზეიმის დღედ გადაქცევა **არავითარი საღი აზროვნების ჩარჩოში არ ჯდებოდა.** მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, საჭიროდ მიიჩნევდა, რომ ეს დღე გამოცხადებულიყო თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა ხსოვნის დღედ და არა დამოუკიდებლობის დღედ“.

აქ რამდენი სიტყვაცაა, იმდენივე სიცრუეა.სიმართლეს არ შეესაბამება ის აზრი რომ თითქოს „ქართველმა საზოგადოებამ არ გაიზიარა“ **(სად?როდის?)** გამოცხადების თარიღი.ვისაც მეხსიერება არ ღალატობს,ის უთუოდ დამეთანხმება ,რომ იმჟამად თითქმის მთელმა საქართველომ ზვიად გამსახურდიას ის განწყობა გაითავისა, რომელიც მან ასე შთამბეჭდავად ჩამოაყალიბა თავის ცნობილ გამოსვლაში: **„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს დაღუპულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა1“**

მართლაც საღი აზროვნების ჩარჩოში რომ **„ჯდებოდეს“,** იაკობი უთუოდ შეამჩნევდა რომ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივისცემა უფრო ნათლად და ამაღლებულად ჩვენ სინამდვილეში იშვიათად გამოხატულა. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობის დღედ ამ თარიღის გამოცხადება სავსებით მართებულად და დასაბუთებულად ჟღერს.გარდა ამისა, 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ხანგრძლივი პერმანენტული დამარცხებების შემდეგ ქართველმა ერმა სწორედ მაშინ მოიმკა თავისუფლებისაკენ თავისი დაუცხრომელი სწრაფვის ხელშესახები ნაყოფი და დღესაც ამ ნაყოფით საზრდოობს. ამის გათვალისწინება ნამდვილად საჭიროა ეროვნული ნიჰილიზმის და ჯერაც დაუძლეველი არასრულფასოვნების შეგრძნებებისგან გათავისუფლების გრძელ გზაზე.

დიახ! 9 აპრილიდან 9აპრილამდე განვლილ პერიოდში ქართველი კაცის ისტორიული ჰაბიტუსი გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ვიდრე ილიას მიერ დახატული **„ბედნიერი ერის „დამთრგუნველი** პორტრეტი. ის უკვე აღარ იყო **„ქედდრეკილი და მადლიერი“, „უშფოთველი და ქვემძრომელი“, „ყოვლის მთმენი და თავდახრილი“**. ეროვნული ენერგიის ასეთი ამოფრქვევა, მიუხედავად თანმდევი მანკიერებისა, უკვალოდ არ იკარგება. ისტორიის გადაკეთების მცდელობა კი უნაყოფო და უმადური საქმეა.ჩვენი ახლანდელი რესპუბლიკა ჩვენ ყველამ ერთად შევქმენით და უნდა გვახსოვდეს,რომ იგი მხოლოდ 26 მაისის მემკვიდრე კი არ არის (იმ 26 მაისისა, რომელიც, პოეტის თქმისა არ იყოს, შეუბრალებლად **„დაგვიღამა თებერვალმა“),** არამედ, უწინარეს ყოვლისა — **9 აპრილის განთიადისა!**


პოლემიკა

თემურ ქორიძის კიდევ ერთი საუბარი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 1-7 ივნისის ნომერში — **„დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს, ქვეყანას მართავს ტომის ბელადი“** (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი)...

4-10 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა იმავე გაზეთში სათაურით: **„ივანიშვილის ბიძაშვილს შევუთვალე, — იზოლაციაში მოაქციეთ, ვიდრე დაუძახია, ნაპოლეონი ვარო“** (ორივე წერილის სათაურად ქორიძისვე სიტყვები აქვს გამოტანილი ჟურნალისტ ეკა ნასყიდაშვილს). „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობა“ სტუდენტების აღმზრდელმა(!) თემურ ქორიძემაც იცის, მაგრამ რა ქნას, როცა ძვალსა და რბილში სხვა აფორიზმი აქვს გამჯდარი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. ამიტომაც, და კიდევ იმიტომ, რომ პასუხი არავისგან არ მიიღო, გათამამებულმა ლექტორმა თავისივე „ზრდილობის“ რეკორდი 26 მაისს მოხსნა „ობიექტივის“ ეთერში, რის თაობაზეც „საქართველოს რესპუბლიკამ“ 31 მაისს გამოაქვეყნა შესაბამისი წერილი (**„ერთი ვაჟბატონის სატელევიზიო გამოსვლის ირგვლივ“**).

### სიბრიყვის აღზევება

#### ისევ თემურ ქორიძეზე და გაკვრით სხვაზედაც

ქორიძეს აწი აღარაფერი ეშველება, ნათქვამია: **„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშოვს“.** ამიტომ, ზრდილობას შევეშვები, ნაწილობრივ მაინც, და ბოლო წერილში გამომზეურებული პოლიტიკური მოვლენების მისეულ შეფასებებს მივხედავ, ამათაც ნაწილობრივ, თორემ ყველას ვინ აუვა.

მაშ ასე, ჟურნალისტთან გაჟღერებული ქორიძის „ბრძნული“ დასკვნები:

**„დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს, ქვეყანას მართავს ტომის ბელადი“** (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი).

**მწამს, რომ ამ განთიადს „იაკობინელთა“ წყვდიადი ვერაფერს დააკლებს!**

„ქორიძეს სრულებით ვერ გაუგია ამ სიტყვის მნიშვნელობაო (იგულისხმება მ.წერეთლის გამონათქვამი პირველი რესპუბლიკის დაღუპვასთან დაკავშირებით), — შენიშნავს იაკობი და საქმის მცოდნე მემატიანესავით ჩვენს დამოძღვრას აგრძელებს, — დაღუპვის მიზეზებსაც იმდროინდელი მთავრობის თავმჯდომარეებში ( რამიშვილი,ჟორდანია) ხედავს. ქორიძე სულ უბრალო რამესაც ვერ ხვდება — მაშინდელ საქართველოს (სხვა რესპუბლიკელების მსგავსად გაწითლებული ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისგან ვერ გადაარჩენდა ვერავინ!), ისევე,როგორც ვერც დღევანდელ საქართველოს გადაარჩენს ვინმე! („ნატოს“ ჩათვლით), თუკი რუსეთი, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლის დანარჩენი საქართველოს ოკუპაციას.

ამ კაცს თუნდაც ორი წიგნი რომ ჰქონდეს წაკითხული, უთუოდ უნდა ახსოვდეს ილია ჭავჭავაძის დევნაში დახელოვნებული ჟორდანიას და მისი მთავრობის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი შეფასებები. არქივები და ისტორიული კვლევები სავსეა თვალსაჩინო მასალებითა და დოკუმენტებით,სადაც დასაბუთებულად არის წარმოდგენილი არა მარტო „გაწითლებული რუსეთის“ აგრესიული ბუნება, არამედ მენშევიკური მთავრობის ნამდვილი სახე და ზრახვები.აი, ზოგიერთი მათგანი! **„საქართველოს ბედმა შავი ძღვენი უძღვნა ნ.ჟორდანიას სახით“, „ნ. ჟორდანიას კლასობრივმა პოლიტიკამ საქართველო მოლიპულ გზაზე დააყენა“, „ჩვენმა მთავრობამ ვერ შეძლო ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა“, „მათი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებას უფრო ჰგავდა,ვიდრე ახალი თაობის ახალ საქმეს“. „ასე დააკარგვინა ნ. ჟორდანიამ ქართველებს დამოუკიდებლობის უნიკალური შანსი“; „ჩვენს სირცხვილში განსაკუთრებით დამნაშავეა მთავრობა“...** და ა.შ დაუსრულებლად...

ამ ამონარიდებიდან არც ერთი მე არ მეკუთვნის! იაკობმა კი საერთოდ არ იცის. რას წერს და რატომ წერს. მან არც ის იცის, რომ მსგავს თემებზე მსჯელობა ნამდვილად არაა მისი საქმე.ისტორიულ ჭეშმარიტებებში ორიენტირება უდიდეს სულიერ- ინტელექტუალურ ენერგიას მოითხოვს. იაკობის შესაძლებლობები კი ამ მხრივ ერთოვ მოკრძალებულად გამოიყურება. ადამიანი, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებს: **„ ვერც დღევანდელ საქართველოს გადაარჩენს ვინმეო,“** — ვერასოდეს ჩასწვდება, ერის და, საერთოდ, კაცობრიობის ეგზისტენციალურ კანონზომიერებებს. 1921 წლის შემდეგ დიდი დრო გავიდა და მაშინდელ მტკივნეულ შეკითხვაზე: **„შეგვეძლო თუ არა დაგვეცვა ჩვენი სამშობლო?“** უკვე არსებობს უაღრესად დამაჯერებელი პასუხი: **„უსათუოდ შეგვეძლო!“** ეს პასუხი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის.საქართველოს მაშინ ისევე შეეძლო გადარჩენა, როგორც გადარჩნენ ჩვენსავით მცირერიცხოვანი ესტონეთი, ლატვია,ლიტვა, ფინეთი..

**ასეთია ისტორიის სიმართლე, რომლის კარიც იაკობისთვის ცხრაკლიტულით გადარაზული აღმოჩნდა.**

**ჩემი მხრიდან კი შემიძლია ერთი რამ ვურჩიო: „ხმა მოუდაბლე ორღანოს, აშიყ-მაშიყად სტვენასა“...**

**სხვა მხრივ კარგად ბრძანდებოდეს და კვლავაც ხშირ-ხშირად გამომეხმაუროს.**

**უკეთეს გასართობს რას ნახავს ადამიანი?!**

**თემურ ქორიძე**

---

## ◉ კაკალ გულში

# ბოკერიას თვალებში ჩახედვას თარგამაძის ყბაში ჩავარდნა ჯობიაო!





**● ნაცებს ჰკითხავ და ივანიშვილი და მისი მომხრეები არიან „რუსეთის აგენტები“, ოცნებისტებს ჰკითხავ და მიშა თავის „მრევლთან“ ერთად რუსეთზე მუშაობენ.**

**მე რა ვქნა, მეე?**

**არადა ფრაზა „რუსეთის აგენტი“, უკვე 28 წელიწადია, მესმის. პოლიტიკანებო, აღარ ჭრის არც ეგ და არც „ანტიდასავლურად მოაზროვნე“.**

**სხვა რამე მოიფიქრეთ, თორე დაგვენგრა სახელმწიფო!**

**● უფასო სარეკლამო დროის რაოდენობაზე მიდის უუუუდაძაბულესი დებატები, განხილვები, პრეზიდენტთან შეხვედრები და ლამისაა ვეტოც დაედოს მისაღებ კანონს. ერთი ის ამომრჩეველი მაჩვენეთ, ვინც ტელევიზორთან ზის, პარტიების რეკლამებს უყურებს და ისე აკეთებს არჩევანს?!**

**ბოკერიას თვალებში ჩახედვას თარგამაძის ყბაში ჩავარდნა ჯობიაო!** (ძველი შუმერული ანდაზა).

**● კაფეში ჩაი ვერ დაგილევიათ, მანქანიდან სადარბაზომდე ვერ მისულხართ, გამთენიისას აეროპორტში ინტერვიუ ვერ მიგიციათ, მაღაზიაში პროდუქტი ვერ გიყიდიათ და აფთიაქში წამალი, ვინმემ რო არ გცემოთ და რაღა არჩევნებში ეკვეტებით, თქვე უთავმოყვარეოებო?**

**● მერკელს რომ დედაქალაქის თავზე გამარჯვების დროშა აუფრიალა, იმ ქვეყანასთან თავმოყვარეები და ამაყები ვართ და ამ დროს, ოღონდ დასავლეთი ერქვას, ყველა ქეციან სახელმწიფოს უკანალს ვულოკავთ, თავს ვატყუებინებთ და ჭკუის დარიგების და თავში წამორტყმის უფლებას ვაძლევთ.**

**ნაწილობრივი და შერჩევითი თავმოყვარეობა და ღირსება აღარ გამიგია მე, იბიარდ კი არა, — იბიომატ!**

**● „კურიერს“ რატომ არ ახლავს ამკრძალავი აღნიშვნა +18?**

დღეს, მაგალითად, ნახევარი დრო ჩიორა თაქთაქიშვილს და აკაკი გოგიჩაიშვილს დაუთმეს და მეტი პორნოგრაფია და „უჟასი“ რაღა გინდათ?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

---

# საქართველომ პირობა შეასრულა, ახლა ევროკავშირის ჯერია



**ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისრის იოჰანეს ჰანის განცხადებით, საქართველომ ვიზალიბერალიზაციისთვის საჭირო კრიტერიუმები დააკმაყოფილა და ევროკავშირმა უნდა შეასრულოს პირობა, რათა ნდობა შეინარჩუნოს. „ვაღიარებ, რომ ზოგიერთ ქვეყანას ამ საკითხის გადაწყვეტა საგანგებო მექანიზმის ამოქმედებამდე სურს. თუმცა ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ევროკავშირის სანდოობას საფრთხე არ შეექმნება, რადგან საქართველოს წარუდგინეს მკაფიო კრიტერიუმები ვიზალიბერალიზაციის მისაღებად, ეს კრიტერიუმები შესრულებულია. ჩვენ პირობა უნდა დავიცვათ, რომ შევინარჩუნოთ ნდობა“, — განაცხადა იოჰანეს ჰანმა ლუქსემბურგში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას.**

# ლარისა და დო-ლარის მაფია

## „15 წელიწადია, ეროვნული ბანკი ლარიზაციაზე ლაპარაკობს, მაგრამ ლაპარაკის გარდა, არაფერი კეთდება“

**ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი კობა გვენეტაძე აცხადებს, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია დოლარიზაცია და აქტიური მუშაობაა საჭირო, რათა შემცირდეს დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი და ქვეყანაში ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდეს გრძელვადიანი სესხები ლარში.**

**როგორ უნდა მოხდეს ლარიზაციის წახალისება? ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დავით ასლანიშვილი გვესაუბრება.**



**— ჩვენი მოსახლეობის ცნობიერებას დღემდე შემორჩა 2008 წელს ლარის 16%-იანი დაცემა დოლართან მიმართებით, როცა მისმა მაჩვენებელმა 1.42-დან 1.65-ს მიაღწია. ასეთივე დევალვაცია გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. ამდენი სირთულის გადამტანი ლარის ფონზე როგორ უნდა დაიძლიოს დოლარის ბატონობა ქართულ ეკონომიკაზე?**

— ნაცვლად იმისა, რომ უფრო მეტი ნდობა გვქონდეს დოლარის მიმართ, ჩვენი მოსახლეობა ჩვენი ეროვნული ვალუტისგან პირს იბრუნებს. ჩვეულებრივ, ლარი სრულფასოვნად უნდა ასრულებდეს სამ ფუნქციას. ეს არის გაცვლითი საშუალება, საზომის საშუალება და მესამე, ყველაზე მთავარი, რაც ლარს არა აქვს ამჟამად, ეს არის დაგროვებითი ფუნქცია. დოლარის, ევროსა და სხვა უცხოური ვალუტის ნდობის ფაქტორზე როცა ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ ამ ვალუტებს დაგროვებითი ფუნქცია აქვთ.

**— მართლაც, საქართველოში ლარში მიმდინარეობს გადასახადის აკრეფა, ეროვნულ ვალუტაში გაიცემა ხელფასები, ლარში ხდება ოფიციალური ანგარიშსწორება, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა ლარში დანაზოგის გაკეთებას ერიდება. რა ანგრევს ლარის მესამე მთავარ კომპონენტს, ანუ დაგროვებით ფუნქციას საქართველოში?**

— პირველი-ორი კომპონენტი, ასე თუ ისე, დასტაბილურდა. საქართველოში შეგვიძლია, საქონელი ლარში შევიძინოთ, გადავცვალოთ. თუმცა, აქაც არის პრობლემა, რადგან მანქანების, შენობა-ნაგებობის ყიდვას მაინც დოლარში ვახორციელებთ, აქაც არ ვენდობით ლარს, არ გვაქვს მასშტაბური დანაზოგები ლარში. ამას განაპირობებს ის, რომ 25 წლის მანძილზე საქართველოს ყველა მთავრობის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო ეკონომიკური პოლიტიკა არ იყო მიმართული რეალურად ქვეყნის შიგნით მყარი საიმედო ფულად-საკრედიტო ვითარების შესაცვლელად. ვგულისხმობ იმას, რომ ლარის მიმართ მომხდარი პროვოცირებული მოვლენები დაიწყო კუპონიზაციით, როდესაც თვითონ სახელმწიფომ, ეროვნულმა ბანკმა, მაშინდელმა მთავრობამ ბოლომდე შეურყია ნდობა კუპონის, ამ პირველი გარდამავალი ვალუტის, შემოღებას.

გვახსოვს, ალბათ, რომ კუპონის შემოღებისას ათასი კუპონი შეადგენდა ერთ დოლარს. ხოლო კატასტროფულად გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, როდესაც ხდებოდა უკონტროლო ემისია, ფულის ბეჭდვა, ერთი დოლარი გახდა ხუთი მილიონი კუპონი. ამის შემდეგ შემოვიდა ლარი.

ლარის შემოღებისას პირველ ორ წელიწადს ყველაფერი რიგზე იყო და ლარი საიმედო საშუალებად ითვლებოდა 1996-97 წლებში მანამ, სანამ ის იყო მიბმული დოლარის გაცვლით კურსზე, ანუ მაშინაც 40-50 მილიონი დოლარის ჯამური თანხა იყო ინვესტიციების სახით დადებული ლარში, მაგრამ 1998-99 წლის მიჯნაზე მოხდა პირველი სავალუტო კრიზისი ინდონეზიაში. იმ დროს ჩვენთან რუსული საქონელი შემოვიდა იაფად და ამ ფორსმაჟორს ლარმა ვერ გაუძლო. საქართველოს მთავრობა არ მოიქცა სათანადოდ და დაიწყო ლარის მასობრივი გადაყრა, მოშორება მოსახლეობის მხრიდან. ლარის კურსი დაეცა 1.3-დან 2.5-მდე ოფიციალურად, ხოლო გადაცვლით ჯიხურებში თითქმის სამამდეც კი ავიდა დოლარის მიმართ ლარის კურსი.

**— დოლარიზაციის მაღალი დონე ძირითადად გარდამავალი ეკონომიკების სენია, საქართველოც ამ კონტექსტში განიხილება?**

— ვერ დავარქმევთ ამას სენს, რადგან მთელი რიგ განვითარებად ეკონომიკებში, თუნდაც მცირე აზიის ქვეყნებში, ასევე, ჩეხეთში, პოლონეთში საკმაოდ ენდობიან თავის ეროვნულ ვალუტას. ჩვენთან ბოლო კრიზისი პროვოცირებული იყო, რადგან ლარის მასის უცაბედი გაზრდა მოხდა 4 მილიარდიდან 6 მილიარდ ლარამდე 2014-15 წლების განმავლობაში. ეს იყო ქადაგიძის პერიოდში, როდესაც მოხდა ლარის მასობრივი გამოტანა მიმოქცევაში. დღეს კარგი იქნება, საქართველოს მთავრობამ მოსახლეობას მისცეს საშუალება, საკუთარ სახელმწიფოს ფული ასესხოს, რათა არ მოხდეს ისე, როცა კომერციულმა ბანკებმა აიღეს მილიარდ-ნახევარი ეროვნულ ბანკში ქადაგიძესთან, ჩააგირავეს სხვა ფასიან ქაღალდებთან ერთად და უკან გამოიტანეს ლარის მასა. თუნდაც პირველადი ნაბიჯები გადაიდგას ამ მხრივ. დღემდე არ არის ასეთ ნაბიჯები გადადგმული.



**— ოფიციალური დოლარიზაცია გამოცხადებულია რამდენიმე ქვეყანაში და არის ნახევრად ოფიციალური დოლარიზაციებიც, როცა უცხოური ვალუტა ქვეყანაში გამოიყენება მეორე ვალუტად. ხომ არ ფიქრობთ, რომ დოლარიზაციის პროცესი მავანთ აწყობთ საქართველოში?**

— გეთანხმებით, რადგან ჩვენ ვართ იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა, ჩვენ ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს. ადგილობრივი წარმოება რომ გვქონდეს, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნა გაჩნდებოდა. იმპორტზეა მიბმული საქართველოში ყველაფერი, მათ შორის, საბანკო სფეროც. ასე აქ უფრო იოლია, ვიდრე გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადება. თავის მხრივ, სახელმწიფოც უშლის ხელს ამ პროცესს და სახელმწიფოს მხრიდან რეალური პოლიტიკა, რომ ლარმა შეიძინოს მთავარი დაგროვებითი ფუნქცია, არ ტარდება - იქნება ეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები თუ სხვა რამ. მაგალითად, 2013-14 წლებში იყო დეპოზიტები ლარში, სანამ ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი. ღარიბაშვილის პერიოდში კი ეს საერთოდ განულდა. ეს ღარიბაშვილის ბრალი არ არის, უბრალოდ, ეს გამოიწვია არასწორად გატარებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ. 2014-15 წლებში ამას შედეგად მოჰყვა ლარის ნგრევა, ამ პროცესის ხელოვნური სიმულაცია, ლარის კურსის 2.5-მდე დაცემა (რაც არც საგარეო ფაქტორით აიხსნება, არც სხვა რამით და, ჩემი ღრმა რწმენით, ეს იყო ხელოვნურად მიღებული პროცესი). ერთი ხელის მოსმით ეროვნულმა ბანკმა წვეთოვანის პრინციპით 700 მილიონ დოლარამდე გამოიტანა და გაყიდა ვალუტა, მაგრამ ამას რა აზრი ჰქონდა, როცა მეორე ხელით ორჯერ უფრო მეტ ლარს ამატებდა მიმოქცევაში?! შესაბამისად, ამ პოლიტიკამ ბოლომდე შეარყია ლარის მიმართ ნდობა, ანუ დაგროვებითი ფუნქცია. მოსახლეობის მხრიდან თითქმის არავინ დარჩა, ვინც ლარს დადებს დეპოზიტზე. ასე რომ, სიტყვით ერთს ამბობენ, მაგრამ ლაპარაკის მიღმა რა კეთდება?!

**— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ლარიზაცია უფრო ხანგრძლივი პროცესია და ასე მალე ვერ განხორციელდება.**

— 15 წელიწადია, ეროვნული ბანკი ლარიზაციაზე ლაპარაკობს, კიდევ მეტად უნდა გაგრძელდეს დროში? ლაპარაკის გარდა, არაფერი კეთდება და, პირიქით, უარესობისკენ წავიდა საქმე.

**— მაინც უარესად მიდის საქმე, როცა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ „ლარი ძალიან კარგად იქცევა, იმ ფონზე, რაც ხდება რეგიონში“?!**

— ეს განცხადება მთლად სწორად გაკეთებული არ არის. რას ნიშნავს, ლარი კარგად იქცევა? მოდით, გავმიჯნოთ, არის ბუნებრივი ქცევა და არის არაბუნებრივი ქცევა. თუ ლარი ბუნებრივად დაეცა 2.5-მდე, მაშინ ბოლო თვეების მანძილზე რატომ უშლის ხელს სახელმწიფო ლარის გამყარებას? ნუ ერევა სახელმწიფო და გვექნებოდა კურსი 1.7. მეორეც, სახელმწიფო ბიუჯეტში პარამეტრი არის დაახლოებით 2 ლარი და 40 თეთრი. შესაბამისად, თუ გიწერია ბიუჯეტში 2 ლარი და 40 თეთრი, სახელმწიფოს თვითონ არ აქვს გადაწყვეტილი ლარის კურსის გამყარება. ლარის კურსის გამყარება დაკავშირებულია ლარზე მოთხოვნის ზრდასთან. ეს კი არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად ამოცანაში. ასე რომ, კობა გვენეტაძის პოზიცია გასაგებია, საკმაოდ ჯანსაღია... ქადაგიძეც ამავეს ამბობდა, მაგრამ არ აკეთებდა საქმეს ადეკვატურად. თქვენ თუ ნახავთ ეროვნული ბანკის გამოცემებს 2004-დან 2016 წლის ჩათვლით, ყველგან წერია ლარიზაცია, ლარიზაცია და ისევ ლარიზაცია. ამიტომ სახელმწიფომ გახსნას ბაზარი. 2 მილიარდ 200 მილიონი ლარი რატომ უდევს ჯიბეში კომერციულ ბანკებს? რატომ არ აქვს ჩვენს მოსახლეობას უფლება, პირდაპირ ასესხოს სახელმწიფოს ფული?

**— აქ კომერციული ბანკების ინტერესების ლობირება ჩანს სახელმწიფოს მხრიდან?**

— ეს ორმხრივი თამაში გამოდის, ანუ სახელმწიფოს ასე აწყობს. უბრალოდ, კომერციული ბანკები თავში წამოსაკრავი ელემენტები არიან, რეალურად თავი და თავი მაინც სახელმწიფოა და მერე ხდება ბანკებზე ხელის შეწმენდა. სანამ სახელმწიფო რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამს, არ შეცვლის კანონებს თუნდაც საფონდო ბაზრის მხრივ, არაფერი გამოვა. საფონდო ბაზარი თითქმის მკვდარია. ვინ მოკლა? სახელმწიფომ? — თავისი კანონებით... რეალურად, არავის აწყობს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება. შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის სათავეში, ეს არავის არ აწყობს, უბრალოდ, სიტყვებით თამაშობენ.

**მანანა ნოზაძე**

## „ალიანტე 2016“-ის გამარჯვებულნი

**საქართველოს ეროვნული გვარდიის სასწავლო ცენტრ „ბაზალეთზე“ მეცხრე საერთაშორისო კონკურსის „ალიანტე 2016“-ის ეროვნული ფინალის გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვეს.**

დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში, პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე, ადმინისტრაციის უფროსი არჩილ აბრამია, პრეზიდენტის მრჩეველი ვეტერანთა საკითხებში ალექსანდრე ბარბაქაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.



ღონისძიება კონკურსის მონაწილეების მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს, კონკურსის წარმატებით დასრულება მიულოცეს და „ალიანტე 2016“-ში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადასცეს.

კონკურსის ორგანიზატორებმა ეროვნულ ფინალში გამარჯვებული 3 საუკეთესო გუნდის წარმომადგენლები დაასახელეს. ლევან გოგიტიძე, ილია დიდიძე, თეა მიქელაძე, გიორგი ცაგარეიშვილი, ცოტნე გვასალია და ვალერიან ფოჩხუა სექტემბერში ჩეხეთში, ქალაქ ოსტრავაში დაგეგმილ ნატოს დღეებში მიიღებენ მონაწილეობას.

კონკურსის მიზანი ახალგაზრდებში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა.

კონკურსს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“ მართავს. პროექტის მხარდამჭერები საქართველოს თავდაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები არიან.

## საქართველოში ჯანდაცვის ასოციაცია – სიახლეა!

**საქართველოში ჯანდაცვის ასოციაცია შეიქმნა, რომელშიც ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით 75 კერძო კლინიკა გაერთიანდა.**

ასოციაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს ჯანდაცვის სამინისტროსთან და ხელს შეუწყობს ქვეყნის ჯანდაცვის სექტორში განსახორციელებელი რეფორმების ეფექტურ მიმდინარეობას.

ასოციაციის წევრობა საქართველოში მოქმედ ყველა სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებას შეეძლება.

ასოციაციის საქმიანობაში ჩართულები იქნებიან ჯანდაცვის სფეროს როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები.

# „ბიზნესკურიერის“ ცრუ ბრალდებები და ნაციონალებს მიკედლებული ანზორ მელია



სსიპ — სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი გიორგი ბუთხუზი 18 ივნისს გადაცემა „ბიზნესკურიერში“ ცენტრის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმაურება, მას ცენტრის ადმინისტრაციისა და თითოეული თანამშრომლის წინააღმდეგ მიმართულ შეგნებულ ცილისწამებად აფასებს და სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.

**„18 ივნისს, გადაცემა „ბიზნესკურიერის“ ეთერით ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელმა ანზორ მელიამ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წარმომადგენლები სხვა კლინიკებთან კორუფციულ გარიგებებსა და ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა. მისივე განცხადებით, „არამიანცის“ ტერიტორიაზე განლაგებულ კლინიკებს 90%-ით შეუმცირდათ პაციენტთა ნაკადი, რაც აბსოლუტური სიცრუეა. ცენტრის მიერ ამოღებულია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც თვალნათლივ ჩანს, რომ ამ კლინიკებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ გადაყვანილი პაციენტების რაოდენობამ არათუ იკლო, არამედ მოიმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ სატელევიზიო ეთერამდე რამდენიმე დღით ადრე, ანზორ მელია შეხვდა ცენტრის დირექტორს, თავად გაეცნო ამ მონაცემებს და არანაირი პრეტენზია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიმართ არ გამოუთქვამს.**

**გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პაციენტის კლინიკაში გადაყვანა ხორციელდება კონკრეტული კლინიკის სერვისების, შესაძლებლობების, ტერიტორიული პრინციპისა და პაციენტის საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, „ბიზნესკურიერში“ გასული რეპორტაჟი მთლიანად აგებული იყო ცრუ ბრალდებებზე, რაც პირდაპირ ლახავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მომუშავე თანამშრომლების, ექიმების ღირსებას, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ ადამიანების დასახმარებლად და ხშირად, მათი სიცოცხლის გადასარჩენად.**

**საგულისხმოა, რომ ცოტა ხნის წინ, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს „უმოქმედო“ უწოდა, რასაც მოჰყვა ანზორ მელიას ყოვლად უპასუხისმგებლო და აბსურდული ბრალდებები. ცენტრის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს პროცესები დაკავშირებულია მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან.**

**ბუნებრივია, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ძალიან შორს არის ნებისმიერი კორუფციული გარიგებებისგან. ცენტრმა შეძლო და დანერგა ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი პროგრამები. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ამან გააღიზიანა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ნაწილი და ისინი წინასაარჩევნო პერიოდში დაუპირისპირდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ უწყებას.**

**მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობის საპასუხოდ, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, კერძოდ: ცენტრი „ბიზნესკურიერის“ გუნდს მოუწოდებს, გონივრულ ვადაში წარმოადგინოს კორუფციული სქემებისა და გარიგებების დამადასტურებელი ფაქტები და დოკუმენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო ცენტრი სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.**

**რაც შეეხება ანზორ მელიას, ცენტრის იურისტები უკვე ამზადებენ სარჩელს, რომელიც უახლოეს საათებში შევა სასამართლოში“,** — აცხადებს გიორგი ბუთხუზი.

# ამერიკული „სადღეგრძელო“ თუ ნამდვილი ამბავი?!

## ამერიკელი ადმირალი სულხან-საბას იგავს „ძალა ერთობაშია“ იხსენებს და აცხადებს, რომ სანამ საქართველო და ამერიკა ერთად იქნებიან, მათ ვერაფერი გატეხს

**„თავისუფლების მოკავშირე-2016“ — საქართველოს ეს ტიტული სამხრეთ კაროლინის შტატის დედაქალაქ კოლუმბიაში 18 ივნისს მიანიჭეს. საქართველო პირველი ნატოს არაწევრი ქვეყანაა, რომელიც ამ სტატუსს ფლობს. ღონისძიება ამერიკის კონგრესმენის ჯო უილსონის მხარდაჭერით, ორგანიზაცია „თავისუფლების ფონდმა“ განახორციელა. საზეიმო ცერემონიას ყოფილი მაღალი რანგის სამხედრო მაღალჩინოსნები დაესწრნენ.**

**ამის შესახებ ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ იუწყება.**

გადამდგარმა ადმირალმა და დღეს საქართველოს საპატიო კონსულმა სამხრეთ კაროლინაში დევიდ შიმპმა ცერემონიის გახსნისას სულხან-საბა ორბელიანის იგავი „ძალა ერთობაშია“ მოყვა და თქვა, რომ თუ საქართველო და ამერიკა ერთად გააგრძელებენ განვითარებას, მათ, ისრების კონის მსგავსად, ვერაფერი გატეხს.

სიტყვით გამოსვლისას, მან ასევე დასძინა, „ყველა ნამდვილი ამერიკელი სამშობლოს სიყვარულს საკუთარ თავზე წინ აყენებს. ყველა ნამდვილი ამერიკელი გულით ქართველია — მე ამას გულახდილად ვამბობ. ვფიქრობ, ნატოსთან დაახლოება წინ მიიწევს და ისე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, საქართველოც მალე გახდება ნატოს წევრი.“

კონგრესმენი ამბობს, რომ საქართველო ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოკავშირეა და მან ეს პირადად გამოსცადა:

„ჩემი ოთხი ვაჟიდან სამი ჯარისკაცია და ისინი ავღანეთში და ერაყში ქართველების გვერდით იბრძოდნენ. მე მათგან ვიცი, რომ ქართველი ჯარისკაცები საუკეთესოები არიან. ისინი ნამდვილი პატრიოტები არიან.“

გადამდგარი ადმირალი დევიდ შიმპი (რომელსაც მანქანაზე ქართულ ენაზე „მე მიყვარს ღვინო“ წარწერა აქვს მიკრული, ხოლო მანქანის წინა მხარეს, მრგვალ სამარკო ნიშანზე საქართველოს დროშა აქვს დაკრული) ამბობს, რომ საქართველოში ჩასვლისას ისეთი შეგრძნება აქვს, რომ სახლში დაბრუნდა. მისი თქმით, ქართველები არა მხოლოდ სამაგალითო მეგობრობის გამო უნდა დააფასოს ყველამ, არამედ იმისთვისაც, რომ ქვეყანამ ბევრი რამ გააკეთა მსოფლიო კულტურის განვითარებისთვის.

„ქართველებმა საკუთარი სისხლი ამერიკელებთან ერთად ბრძოლის ველზე დაღვარეს. ეს ჩვენს შორის ძმობას კიდევ უფრო აღრმავებს. ეს ჯილდო საქართველოსთვის დიდი ხნის წინათ უნდა მიგვეცა. კონგრესმენ უილსონის დახმარებით, ჩვენ დღეს ეს შევძელით,“ — თქვა ადმირალმა.



„თავისუფლების მოკავშირე-2016“ ჯილდო საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს კონგრესმენმა ჯო უილსონმა გადასცა. სამახსოვრო დაფაზე წერია: გადაეცემა ქართველ ხალხს და საქართველოს ლიდერებს სამაგალითო და მამაცური ბრძოლისთვის თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვაში. დაფის ასლი საქართველოს ჯარის დაფასების მიზნით კონგრესმენმა სამხედრო ატაშეს ვეფხვია ჩალაბაშვილსაც გადასცა.

„ჩემთვის დიდი პატივია დღეს აქ ყოფნა და საქართველოს და ქართველი ხალხის დაფასება. ამის მიზეზი ნათელია. გასულ წელს ავღანეთში ყოფნის დროს, ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ქართველ ჯარისკაცებს შევხვდი. მე ძალიან ვაფასებ იმას, რომ ქვეყანა, რომელსაც ჩვენს შემდეგ სიდიდით მეორე უმსხვილესი კონტინგენტი ჰყავს ავღანეთში, საქართველოა“, — განაცხადა „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კონგრესმენმა ჯო უილსონმა. მან ასევე დასძინა, „ბევრს მიაჩნია, რომ საქართველო შავ ზღვაზე მდებარე პატარა ქვეყანაა. არა! საქართველო შავ ზღვაზე მდებარე ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, სადაც არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს.“

საქართველოს მომავალზე საუბრისას კონგრესმენმა თქვა, რომ ის ქვეყნის ნატოსთან დაახლოებაზე დიდ იმედებს ამყარებს:

„შარშან თბილისში ვიყავი. შევხვდი მოსახლეობას, სამხედრო მაღალჩინოსნებს, მთავრობის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, ასევე ვეწვიე ადმინისტრაციულ საზღვარს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიას ყოველდღე შეგვახსენებს.

„თავისუფლების ფონდის“ პრეზიდენტი ჯონ ლავლედი საქართველოს ყველა სხვა მოკავშირე ქვეყნისგან განასხვავებს. ის ამბობს, რომ საქართველო ნატოს არაწევრი პირველი ქვეყანაა, რომელსაც ფონდმა ეს ჯილდო გადასცა. „თავისუფლების ფონდი“ ამ პრესტიჟული ჯილდოს მიმღებ ქვეყანას კონგრესთან კონსულტაციებით არჩევს:

„საქართველო იმის გამო შევარჩიეთ, რომ ის დემოკრატიისა და თავისუფლების იმ ღირებულებებს იცავს, რომლებისაც ჩვენ ასე გვჯერა. ამასთან, საქართველო ჩვენს გვერდით ტერორიზმთან ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტინგენტით იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნატოს წევრი არ არის“.

ამერიკის არმიის გადამდგარი გენერალი ჯონ ლენტი, რომელიც ამჟამად „თავისუფლების ფონდის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერია, ამბობს, რომ საქართველოს ძალიან დიდ პატივს სცემს. „მეამაყება ის, რომ ისეთ ქვეყანასთან მაქვს ურთიერთობა, რომელმაც თავისუფლების ფასი იცის. თქვენ საუკუნეების მანძილზე ებრძოდით მტრებს. ხართ პატარა ქვეყანა და გიწევთ თავი გაართვათ რუსეთს, ქვეყანას, რომელიც ცდილობს, რაც დაკარგა ძალით დაიბრუნოს.“

**მოამზადა „ნიუპრესმა“**

# ამერიკელი ბიზნესმენი დავით ონოფრიშვილის წინააღმდეგ

**აშშ-ს მოქალაქე სკოტ სარანი საქართველოს პარლამენტის წევრს „თავისუფალი დემოკრატებიდან“, დავით ონოფრიშვილს ცრუ ბიზნესგარიგებაში შეყვანასა და ფინანსურ ზარალში ადანაშაულებს.**

**საქმე ეხება ამხანაგობა „ბროსე 8“-სთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავას.**

კიდევ ერთი განცხადება „ბროსე 8“-ის პროექტთან დაკავშირებით დავით ონოფრიშვილის მიერ ჩადენილი შესაძლო კანონდარღვევების თაობაზე სკოტ სარანის წარმომადგენლებს მთავარ პროკურატურაშიც აქვთ შეტანილი.



როგორც მედიანიუსს ამერიკელი ბიზნესმენის წარმომადგენელმა, ადვოკატმა ანი თვარაძემ განუცხადა, დავის საგანია ფინანსური ზარალი, რომელიც სკოტ სარანს ამხანაგობაში დავით ონოფრიშვილის მიერ განხორციელებული არამიზნობრივი ფინანსური ხარჯებით მიადგა.

ადვოკატის თქმით, ამხანაგობა „ბროსე 8“ 2008 წელს დარეგისტრირდა და მასში 8 წევრი გაერთიანდა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, თუმცა როგორც ანი თვარაძე ამბობს, 8 წლის შემდეგაც კი, მშენებლობა, რაც პროექტით იყო გათვალისწინებული, არ დაწყებულა. ბიზნესმენ სკოტის მიერ მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხები კი არამიზნობრივად გაიხარჯა.

ადვოკატის განცხადებით, **პარლამენტარი ონოფრიშვილი არაფორმალური წესით მონაწილეობდა ბიზნესსაქმიანობაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთარ არასრულწლოვან ქალიშვილზე ელისაბედ ონოფრიშვილზე ჰქონდა გაფორმებული ამხანაგობაში საკუთარი წილი და შემდეგ მისი კანონიერი წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა მართვაში. აღნიშნული კი, როგორც ანი თვარაძე განმარტავს, არის კანონდარღვევა. მას წილები სხვადასხვა ბიზნესებში ოჯახის წევრებზე აქვს მუდმივად გადაფორმებული და ჩვენ გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა საწარმოების მართვაში.**

**მისივე თქმით, პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში ძირითადად საქმე შეეხება სწორედ „ბროსე 8“-ს, თუმცა იქვე ნახსენებია წინამორბედი ბიზნესსაქმიანობებიც, მათ შორის თბილისში რესტორნის, ასევე „პამპერსების“ საწარმო და სხვა წამოწყებები. ადვოკატი ამბობს, რომ ყველა საქმეში ონოფრიშვილმა ამერიკელი ბიზნესმენი აზარალა და გააკოტრა.**

**ონოფრიშვილი გვეუბნება, რომ ბიზნესებმა უბრალოდ არ გაამართლა და ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ბიზნესი კოტრდება. ჩვენ კი გვაქვს უამრავი მტკიცებულება, რომ ონოფრიშვილი, უბრალოდ, ითვისებდა ინვესტირებულ თანხებს. მხარეებთან შეუთანხმებლად ან მათი აზრის საწინააღმდეგოდ ამერიკული აქტივების უზრუნველყოფით იღებდა კრედიტებს, რომლებსაც აღარ ფარავდა და ანადგურებდა კომპანიებს.**

**პროკურატურაში შეტანილი განცხადებით მოვითხოვთ, რომ აღნიშნული საქმეები იქნეს შესწავლილი, ჩვენ გვაქვს დასაბუთებული არგუმენტები, რომ ონოფრიშვილი თაღლითური სქემით და თანამდებობრივი შეუთავსებლობით იღებდა ფინანსურ სარგებელს და აყენებდა ზიანს კომპანიების ამერიკელ წარმომადგენლებს,** — განაცხადა ადვოკატმა.

იურიდიულად, ჩვენი მოპასუხეები იქნებიან დავით ონოფრიშვილის შვილი და მისი გარემოცვა, რეალურად კი — დავით ონოფრიშვილი. მხოლოდ ამხანაგობა „ბროსე 8-ში“ ვედავებით, რომ 8 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა არანაირი სამუშაო, გაიფლანგა ფულადი სახსრები — დაახლოებით 700 ათას დოლარი. ამერიკელი ინვესტორები თავიდანვე ცრუ გარიგების მსხვერპლი არიან. ვითხოვთ, ამხანაგობიდან გასვლას, ჩვენი თანხის დაბრუნებას და ზიანის ანაზღაურებას.

მისი თქმით, არსებობს აუდიტის შესაბამისი დასკვნაც, რომელიც ადასტურებს არამიზნობრივ ხარჯვას და მთლიანობაში ზარალი, რომელიც თითოეული კომპანიის გაკოტრებისგან მიადგა ამერიკელ ინვესტორებს, 2 მილიონს აღწევს.“

მედიანიუსი ამ საკითხთან დაკავშირებით დავით ონოფრიშვილსაც დაუკავშირდა.

**დეპუტატის განცხადებით, მისთვის უცნობია, თუ „ბროსე 8“-ის საქმეზე სასამართლო მიმდინარეობს. მისი თქმით, არც აღნიშნული პროექტის და არც სარანის სახელთან დაკავშირებული სხვა ბიზნესსაქმიანობების მენეჯმენტში არასდროს მონაწილეობდა.**

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*გიორგი ეგნატაშვილის მოგონებები*

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვამა)

## სახლში, რომელიც კოტელნიკოვის სანაპიროზეა

– კიდევ რაზე ილაპარაკა სტალინმა იმ ღამეს?

– მერე გავმხიარულდით და მოგონებები, შინაური საუბრები დაიწყო... კიდევ ერთი სადღეგრძელოც რომ დავლიეთ, სტალინი უცებ პაპას ეუბნება: „მითხარი, დათა, როცა გორიდან ატენში მიდიხარ, ხიდისთავთან, მოსახვევში, დიდი ლოდი იდო, ისევ იქ დევს ის ლოდი?“ ამ დროს სწორედ ატენურ ღვინოს ვსვამდით. მოხუცმა ტაში შემოჰკრა და ქართულად წამოიძახა: „შე ღმერთძაღლო, ეს რა მეხსიერება გაქვს!“ სტალინმა გაიცინა, ხელი ულვაშზე გადაისვა და გორული აქცენტით ეუბნება: „ძაღლი შენი ღმერთი იყოს, ჩემ ღმერთს რატომ ლანძღავ! ამაზე დათამ სხარტად უპასუხა: „შენ გგონია, სტალინი ხარ! ჩემთვის ისევ ის პატარა ბიჭი ბრძანდები, ხელში აყვანილი რომ დამყავდი! ჩაგხდი ახლა მაგ შარვალს და ისე მოგცხებ, ის ერთი ადგილი იმ შენს წითელ დროშაზე წითელი გაგიხდეს!“ – თქვა, სახელო აიკაპიწა და ხელი მოუღერა. სტალინი გულიანად იცინოდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს...


ალექსანდრე ეგნატაშვილი

მერე ბევრი სხვა რამეც გაიხსენეს, მაგალითად, როგორ აწყენინა ერთხელ ერთ გოგონას და როგორ ხუმრობდა თავის ტოლ ბიჭებთან... ჩვენ კი ვისხედით, ვუსმენდით, ღვინოს ვსვამდით და ხან გულიანად ვიცინოდით, ხან ვიღიმებოდით. ეს ყველაფერი ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბებია, თავად გასიტაშვილი კი უკვე ოთხმოცს იყო მიტანებული. ის საღამო ყველაზე ბედნიერი იყო ჩემს ცხოვრებაში, ახლა კი ყველაზე ბედნიერი ის წუთებია, დასაძინებლად რომ დავწვები და სტალინს გავიხსენებ. რა თქმა უნდა, შვერნიკსაც... ადრე ის კვირაში ორჯერ მესიზმრებოდა. ის კი არა, მისი დავისას სიზმარში ხან პისტოლეტი არ ისვრის, ხან ხელი არ მემორჩილება და გამეღვიძება უცებ შეშფოთებულს. აი, წუხელ ვლასიკიც მესიზმრა.

– ის თქვენი უშუალო ხელმძღვანელი იყო?

– დიახ, ის გახლდათ დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, უკეთილშობილესი პიროვნება, სტალინის უერთგულესი ადამიანი და ჩემი უახლოესი მეგობარი. ომი რომ დაიწყო, მინდოდა, მეც ომში წავსულიყავი, მივედი მასთან, განცხადება მივუტანე, მან კი ქაღალდი ხელიდან გამომგლიჯა, ზედ თავზე გადამახია და – ხომ არ გაგიჟდი, სტალინს ვინ დაიცავსო! – მიყვირა.

მაგრამ, ამის შესახებ მერე მოგიყვებით. ახლა კი მინდა პაპაზე, მამაზე, ბიძებზე, ეკატერინე გიორგის ასულსა და იაშაზე – სტალინის უფროს ვაჟიშვილზე მოგიყვეთ, ვისაც ეს სახელი პაპაჩემის პატივსაცემად დაარქვეს. მოგიყვეთ ყველაფერსა და ყველა იმ ადამიანზე, ვისთანაც ვმუშაობდი და ვისაც ახლოს ვიცნობდი.

* * *

უკვე გვიანი ღამე იყო. სახლიდან კოტელნიკის სანაპიროზე გავედით და იქიდან პირდაპირ კინოთეატრ „უდარნიკისკენ“ გავწიეთ, სადაც მისი ქალიშვილი სწორედ კინოთეატრის გვერდით მდებარე სახლში ცხოვრობდა. იმ სახლში ცხოვრობდნენ ხრუშჩოვი, მალენკოვი და მოლოტოვი... გადავწყვიტეთ, ჩვენი შემდგომი შეხვედრა რედაქციაში შემდგარიყო.


იაკობ (კობა) ეგნატაშვილი

## პაპა

ჩემმა პაპამ – იაკობ გიორგის-ძე ეგნატაშვილმა ოთხმოცდაექვსი წელი იცოცხლა. ღირსეული ადამიანი იყო, ძალიან ამაყი, ძლიერი და დამოუკიდებელი.

– ვიღაც-ვიღაცები ამბობენ, სტალინის მამა სწორედ იაკობ ეგნატაშვილია, ამიტომ იოსებ ბესარიონის-ძემ თავის უფროს ვაჟს სახელად იაკობი მის საპატივცემლოდ დაარქვაო?

– მე და იაშა ძალიან ვმეგობრობდით. რაც შეეხება პაპაჩემს, ის ნამდვილი ლეგენდაა! ახალგაზრდობაში ცნობილი მოჭიდავე გახლდათ, ერთხელ თავადების სახელით მოჭიდავე კულა გლდანელსაც კი აჯობა. თავადების მომხრეებმა მაშინ ერთი ხმაური და აურზაური ატეხეს, კულას აიძულებდნენ, თავიდან ეჭიდავა, ახლავე დაემარცხებინა მოწინააღმდეგე.

პაპა გაჯიუტდა – ის ხომ ძალიან თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო! – ხვალ ვეჭიდავები, დღეს კი გვეყოფა, საკმარისიაო. „ან ახლა შეეჭიდები, ან არასოდეს!“ – არ ეშვებოდნენ თავადის მომხრეები, მაგრამ, პაპა მტკიცედ იდგა თავისაზე. მაშინ მომხრეებისგან წაქეზებული კულა უცებ პაპას ეცა და წააქცია. პაპა არ შესწინააღმდეგებია.

– ას კი შენი მაფიაა.

– მაშინ მგლური კანონი იყო, ან ყველაზე ძლიერი გადარჩებოდა ან ყველაზე ეშმაკი... პაპა პირველთაგანი იყო. ის ხომ იძულებული გახდა, მთელი ოთხი წელი ერთ-ერთი მდიდარი თავადის ქვის სამტეხლოში ისე ემუშავა, როგორც კატორღელს. საქმე ისაა, მისმა ძმამ რაღაც საქმისთვის, ვიღაც თავადისგან ფული ისესხა და დაკისრებული პროცენტები ამ კატორღული შრომით პაპამ გადაიხადა. ქვის სამტეხლოების პატრონი ისეთი არამზადა გამოდგა, წასასვლელად გზისთვის კაპიკიც კი არ მისცა და ოთხწლიანი გაუსაძლისი მუშაობის შემდეგ ოთხმოცდაათი კილომეტრი პაპამ ფეხით გაიარა, გორამდე რომ ჩასულიყო.

– თუმცა პაპათქვენი მდიდარი ადამიანი ბრძანდებოდა.

– დიახ, დიდი ვენახები გვქონდა. პაპა სირაჯი იყო, დიდი ზვრების პატრონი და, როგორც ახლა ახალგაზრდები ამბობენ, „შეძლებული კაცი“ და შესანიშნავი მოჭიდავე. ისე, სტალინსაც ძალიან უყვარდა ხელჭიდი.

– სტალინი ხშირად იხსენებდა იმ ადამიანებს?

– რა თქმა უნდა. ეს ხომ მისი ბავშვობის ნათელი ფურცლებია. ჩვენში საეკლესიო დღესასწაულების დროს, მაგალითად, ნათლისღებას, შეგროვდებოდნენ ბიჭები, ჩამოივლიდნენ სოფელში კარდაკარ, იმღერებდნენ და მიიღებდნენ სახლის პატრონისგან საჩუქრებს. თვითონ სტალინიც ძალიან კარგად მღეროდა, სხვებთან ერთად ისიც დადიოდა ალილოზე. ბოლოს დაიწყებოდა ჭიდაობა, აძვრებოდა სოსო ხეზე და იქიდან გულშემატკივრობდა პაპას, თან ძალიან ღელავდა.

– ცნობილია, რომ არა მხოლოდ გულშემატკივრობდა, არამედ თვითონაც ღებულობდა ჭიდაობაში მონაწილეობას?

– დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ ბიჭების ჩხუბი იყო, მე კი დიდების ჩხუბზე ვლაპარაკობ. გაიყოფოდნენ მხარდამჭერები ზემო და ქვემო გორელებად და პაპა ყოველთვის ზემო გორელების მხარეს იყო. ჯერ ბიჭებს გამოიყვანდნენ საჩხუბრად, მერე ცოტა უფრო მოზრდილებს და ცოტა უფრო ღონივრებს, ხოლო ყველაზე ბოლოს ჯან-ღონით სავსეებს და უროსმცემლებს. მათ შორის იყო პაპაჩემიც. სხვათა შორის ამის შესახებ ლეონიძესაც აქვს ლექსი, სადაც ის პაპაჩემს იხსენებს, გემს ადარებს, ასე ამბობს, ბრძოლაში ისე შემოდიოდა, როგორც გემი, მის მუშტებს ვერავინ უძლებდაო... მამაც ძალიან ძლიერი კაცი იყო. იმ დროს ერთი ძალიან ცნობილი მოჭიდავე – ნიკოლაი ვახტუროვი, მამა იმას 1911 წელს მთელი ათი წუთი ეჭიდავა, ვიდრე ისინი საპოლიციო საათმა არ გააშველა, მაშინ არსებობდა ზუსტი საპოლიციო დრო და რაც არ უნდა ყოფილიყო, მოვიდოდა ზუსტად დადგენილ საათში პოლიციელი, დაუსტვენდა, გაშეშდებოდნენ ყველანი ერთ ადგილას, დაუშვებდნენ ფარდას და წავიდ-წამოვიდოდნენ სახლებში. ამ დროს ზუსტად ღამის პირველი საათი იყო.

– გამოდის, რომ პაპა ახლოს იყო უბრალო ადამიანებთან?

– დიახ, იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში თავადებმა აწყენინეს, მას შემდეგ იმ ადამიანებს მთელი სიცოცხლე ვერ იტანდა. სამაგიეროდ ღარიბსა და უქონელს ყოველთვის უწევდა დახმარებას, მათ შორის ეკატერინე გიორგის ასულსაც, რომელსაც მას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. სტალინი ხშირად დადიოდა ჩვენ სახლში. ის ცოტა უფროსი იყო ჩემ ბიძებსა და მამაზე, იყო ძალიან ჭკვიანი და სერიოზული. პაპა დასვამდა მაგიდასთან, მისცემდა ხელში წიგნს და ისიც კითხულობდა ხმამაღლა. უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგი და ილია ჭავჭავაძე... ცხოვრობდა იმ დროს საქართველოში ერთი ლეგენდარული ადამიანი, ისტორიული პიროვნება – არსენა ოძელაშვილი.

– ქართველი რობინ ჰუდი?

– ჰო, რაღაც ამდაგვარი. მდიდარს ართმევს და ღარიბს აძლევსო... გლეხების განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში. მაშინ მას ყაჩაღს ეძახდნენ, მაგრამ ასეთად ასე მხოლოდ მეფის ხელისუფლებას მიაჩნდა. პაპას ყაზბეგი და ილია განსაკუთრებით მოსწონდა, ძალიან მოსწონდა პატარა სოსოც – სერიოზული, მიზანდასახული და საზრიანი. სასულიერო სემინარიაში სწავლისთვის ფულს პაპა უხდიდა.

## ეკატერინე გიორგის ასული

– გიორგი ალექსანდროვიჩ, ერთ-ერთი ვერსიით ვარაუდობენ, რომ სტალინის მამა პრჟევალსკი იყო – სტალინი ძალიან ჰგავს პრჟევალსკისო... სტალინის დაბადებამდე პრჟევალსკის ორი წელი გორში გაუტარებია. ერთი უკანონო შვილიც ჰყოლია, ვისაც მატერიალურად ეხმარებოდა...

– დაუჯერებელი, წარმოუდგენელი სისულელეა. ამის შესახებ მეც სადღაც წავიკითხე ამას წინათ. ასე ეწერა, ეკატერინე გიორგის ასული სწორედ იმ სასტუმროში მუშაობდა, სადაც პრჟევალსკი ცხოვრობდა და ქალი სირცხვილისგან რომ ეხსნა, ბესარიონ ჯუღაშვილს ფული გადაუხადა და ცოლად ათხოვნინაო, – მაშინ როცა ეკატერინე გიორგის ასულს არასოდეს არავითარ სასტუმროში არ უმუშავია, ის მხოლოდ პაპასა და მის ოჯახს ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. სტალინის ნამდვილი მამის თაობაზე, რაც თავი მახსოვს, ლეგენდები დადის. ის, რომ პრჟევალსკი ოთხი წელი თუ წელიწად-ნახევარი გორში ცხოვრობდა, ამიტომ არის ის სტალინის მამა?! მართლაც რომ წარმოუდგენელი სისულელეა! თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენთან, საქართველოში, ამას ძალიან მკაცრად ეკიდებიან. იქ ამას ვერ დამალავ, იქაურობა ღრმად მოხუცი ადამიანებით არის სავსე, გარდა ამისა, მაშინ იქ იმდენი მენშევიკი და თავადაზნაურების იმდენი ნაშიერი იყო, ამ შემთხვევას ისინი ხელიდან არ გაუშვებდნენ. ისინი ხომ ყველანი სტალინის მტრები არიან, ამ ამბავს ისე გაბერავდნენ, ვერც კი წარმოიდგენ...

– როი მედვედევი წერს, სტალინის დაბადებამდე ეკატერინე გიორგის ასულს კიდევ ორი შვილი ჰყავდაო.

– დიახ, ჰყავდა სტალინის დაბადებამდე ორი შვილი. პირველ შვილს მიხეილი ერქვა, მაგრამ, ერთი წლის იყო, რომ გარდაიცვალა. მეორეს გიორგის ეძახდნენ, ისიც სულ პატარა იყო, ტიფი რომ შეეყარა და გარდაიცვალა. ერთიც და მეორეც პაპაჩემმა მონათლა. როცა მესამე ბავშვი – იოსები დაიბადა, ეკატერინე გიორგის ასულმა – შენ ძალიან კეთილი და კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ, მძიმე ხელი გაქვს, მაპატიე, ღვთის გულისთვის, იოსებს მიშა მონათლავსო, – უთხრა პაპას. იმ კაცის – იმ მიშას გვარი აღარ მახსოვს... ტიფით პატარა იოსებმაც იავადმყოფა, მაგრამ გადარჩა. თვითონ ეკატერინე გიორგის ასული ძალიან ამაყი ქალი იყო, ძალიან სუფთა და ფაქიზი, თან ამავე დროს საოცრად მტკიცე ხასიათის. ჩვენ ოჯახთან მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა, პაპაც ეხმარებოდა, რამდენადაც შეეძლო. სხვა რომ არაფერი, ნათელ-მირონები ვიყავით. სტალინი ყოველთვის მოდიოდა ჩვენთან. მამაჩემზე რვა წლით იყო უფროსი, ძია ვასოზე – ცხრა წლით. ბავშვები, რა თქმა უნდა, ურთიერთობდნენ, მაგრამ მოგეხსენებათ, ასაკს მაინც აქვს მნიშვნელობა... დიახ, სტალინი ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო, მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ოჯახისათვის.


სტალინის დედა – კეკე გელაძე

– რა გახსოვთ ეკატერინე გიორგის ასულის შესახებ?

– ოციანი წლების დასაწყისში მე მას ხშირად ვნახულობდი. მაშინ ის პიონერთა სასახლეში, მეფის ნაცვლის – ვორონცოვის სასახლეში ცხოვრობდა. ეზოს სიღრმეში იქ ერთი ფლიგელი იყო, რომელიც ბაღში გადიოდა. სწორედ იმ ფლიგელში ეკავა მას სამი ოთახი. იქ ის მეგობარ ქალთან ერთად ცხოვრობდა, იმ ქალს ნინა ერქვა, არ ვიცი, ქვრივი იყო, არ ვიცი შინაბერა. იქ ხშირად მიწევდა სიარული – მამა მათთან ღვინოსა და პროდუქტს მატანდა, ეკატერინე გიორგის ასული კი მადლობის ნიშნად შოკოლადით მიმასპინძლდებოდა. თავიდან ასე ამბობდა, რომ მასზე ნადია ზრუნავდა, მერე კი ხშირად იმეორებდა, ეს ბინა ჩემი შვილიშვილის – სვეტლანასგან მაქვსო. მასთან იქ ხუთი წელიწადი დავდიოდი და ახლაც კარგად მახსოვს იმ შოკოლადების გემო. სახლში სტალინის დედასთან მიწერილი წერილიც მაქვს. იმ წერილში სტალინი დედას მამაჩემსა და ბიძებზე ეკითხება – ვასო და საშა როგორ არაინო?... მერე მე უკვე მოსკოვში გადმოვედი.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99, 103, 108


Mzia Saganelidze (RFE/RL)

# კავკასიური ეგზოტიკის მძევლები

**რუსეთში კვლავ მადალფარდოვნად და რომანტიკულად უყურებენ კავკასიას. იქ თუ მიდიან – ეგზოტიკის „დასაგემოვნებლად“. მხატვარი ვიქტორია ლომასკო შეეცადა, სხვაგვარად მისდგომოდა საკითხს. მუშაობს სოციალური გრაფიკული რეპორტაჟის ჟანრში. ფაქტობრივად, იგი ამზადებს კომიკურ დოკუმენტებს. მისი სამუშაოების ახალი ციკლი დაკავშირებულია კავკასიაში მოგზაურობასთან. იყო საქართველოში, სომხეთში და დაღესტანში. ჩვენ მასთან ვსაუბრობთ კავკასიური შთაბეჭდილებების შესახებ.**

**ვიქტორი ლომასკო:** რა ვიცით ჩვენ ცენტრალურ რუსეთში ისეთი ქვეყნების და რეგიონების შესახებ, როგორიცაა დაღესტანი? ესაა მზიანი მხარე, იქ არის მთები, ხალხი სტუმართმოყვარეა, გემრიელი ღვინო, მწვადები... რასაკვირველია, გამოკვლევებისათვის ეს სტერეოტიპები არაა საჭირო, ჩემი მიზანი იყო ზუსტად მეჩვენებინა, თუ რა არის ამის იქით. პერიოდულად ხდება რაღაც უგუნურობანი. მაგალითად, ცხრა აპრილთან დაკავშირებული. მართლაც, ქართველებისთვის, რომლებმაც მე ეს მიამბეს, როგორც რაღაც თავისთავად ცხადი: „...და აი, ცხრა აპრილი...“ – რა არის ცხრა აპრილი? როგორ ამოხოცეს ხალხი სნაიპერული ნიჩბებით? ვინ გააკეთა ეს? საბჭოთა ჯარისკაცებმა? მე, რასაკვირველია, ერთადერთი არა ვარ, რომელმაც იცის ეს ისტორია და, ამ ქვეყნების ისტორია საერთოდ, ჩვენთან ყველამ იცის, ყველა ისეა აღზრდილი, რომ ჩვენ ვცხოვრობდით იმპერიის ცენტრში და მთელი ისტორია იყო აგებული ისე, როგორც ამას მოითხოვდნენ. სწორედ ეს ისტორია მინდა, გადავსინჯო.

შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, სადაც უნდა მიხვიდე, ამ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ძალიან ხშირად გიწევს სირცხვილით შეხედო რუსულ პოლიტიკას. ისეთი შეგრძნებაა, რომ დღემდე ვერ მოვსულვარ გონზე, და საქართველოშიც კი ეს შთაბეჭდილება ძლიერდება. რასაკვირველია, მეტად ძნელია, როდესაც ნებისმიერ ამ ქვეყანაში გადააწყდები რუსული პოლიტიკის მსხვერპლს, როგორც, მაგალითად, ეს იყო აფხაზეთიდან ლტოლვილებთან დაკავშირებით – დღემდე საქართველოსთვის ეს პრობლემა გადაუჭრელია, ბევრ ამ ადამიანს დღემდე ვერ მოუწყვია თავისი ცხოვრება, ვერ დალაგებულა. ჩვენ კი? ჩვენთვის, ეს იყო რაღაც პატარა, არცთუ მნიშვნელოვანი ომი. განა ჩვენ გვიფიქრია მრავალი მოვლენის შესახებ, რის პროვოცირებასაც რუსეთი ახდენს ამ ქვეყნებსა და რეგიონებში? ჩვენ მათ შესახებ ზოგჯერ ვიგონებთ ხოლმე, მივმართავთ მათ, ანალიზს ვუკეთებთ, მაგრამ ძალიან იშვიათად, თუ ეს არ არის სპეციალური რაიმე გამოკვლევა.

**კატერინა პროკოფიევა:** ჩვენთან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ძლიერდება გადახრა რუსეთისაკენ?

**ვიქტორია ლომასკო:** ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე სააკაშვილის დროს. საქართველოში ბევრი ახალგაზრდა კაცია, ვინც მე გავიცანი, მათ სურთ სწავლა ევროპაში, მზად არიან ემიგრაციისათვის, ან სწავლისათვის ევროპაში, შემდეგ კი გამოიყენონ ეს გამოცდილება საქართველოში. რასაკვირველია, შეიძლება მათ გაუგო. რამდენად მიუღებელია მათთვის ის გზა, რითაც მიდის რუსეთი, მაგრამ, მაგალითად, დაღესტანში ვერანაირ ალტერნატივას ვერ ხედავენ.

მე შევხვდი რამდენიმე ხანდაზმულ ადამიანს, რომლებსაც თავი წარმოედგინათ იდეურ კომუნისტად, მაგრამ მათთან ურთიერთობის დროს შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მათთვის მნიშვნელოვანია არა იდეოლოგია, არამედ ის, მაგალითად, რომ „სტალინი იყო ქართველი – ჩვენი, ქართველი, და ყველაფერს ის წარმართავდა საბჭოთა კავშირში“. თუ იყო რამენაირი ეკონომიკური სიტუაცია, ამის ნებას ისინი თავად აძლევდნენ თავიანთ თავს. ისეთი იდეოლოგიური დავები, როგორიცაა რუსეთში, კერძოდ, პოლიტიკა, წყობილება, როდესაც მნიშვნელობა არა აქვს საკუთარ პირად სიტუაციას, ბედისწერას, არამედ რომ ყველა მიდიოდეს სწორი გზით, სწორი იდეოლოგიით, – არც ერთი ადამიანისაგან მე ასეთი რამ არ მომისმენია. ყველაფერს განიხილავენ რაღაც სხვა პოზიციებიდან მაგალითად, ყრილობის შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა სტალინის პოლიტიკა გამოაცხადა მცდარად, მხოლოდ თბილისში იყო დიდი მიტინგები, ხალხი მოითხოვდა განმარტებას, მათ კი ესროდნენ გაუფრთხილებლად – დაიხოცა ბევრი, იყო მსხვერპლი და ბევრი მეუბნებოდა სტალინი რომ ქართველი არ ყოფილიყო, არავინ გამოვიდოდა. რეალურად, ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

**კატერინა პროკოფიევა:** როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ კავკასიაში მთლიანად აქტივისტურ პროექტებთან მხარდაჭერის საკითხში: იგი იქ უფრო მეტია თუ ნაკლები, ვიდრე რუსეთში? თუ არის სხვაობა რაიმე სამოქალაქო ინიციატივებში საზოგადოებაში?

**ვიქტორია ლომასკო:** საქართველოში, ეჭვგარეშეა, გაცილებით მეტი სამართალდაცვის ორგანიზაციაა ამჟამად და სხვადასხვა საინტერესო პროექტები, ვიდრე რუსეთში, იქ ახლოსაც არაა ისეთი ცენზურა, როგორიც ჩვენთან. მე ვხედავ, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც რაღაცის გაკეთება სურთ ქალაქში, და არა მხოლოდ თბილისში, შეუძლიათ, მონახონ რაღაც დაფინანსება, მხარდაჭერა, და ეს გამოიყურება მეტად სიმპათიურად.

**კატერინა პროკოფიევა:** სხვათა შორის, თქვენ ამბობდით, რომ სომხეთში ძალიან ბევრი ფემინისტური აქტივისტი ქალია, რომლებიც ჯერ კიდევ მისცემენ ფორას ნებისმიერ რუსეთელს. ამან მე მეტად გამაოცა. თქვენ შეგიძლიათ, მოიყვანოთ მაგალითი, თუ რა აინტერესებთ მათ?

**ვიქტორია ლომასკო:** სომხეთში მე კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ფემინისტი ქალები განწყობილი იყვნენ ჩემთან თანამშრომლობისათვის, ჩვენ ფაქტობრივად ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, შევეცადეთ, მათთან ერთად გაგვეკეთებინა საქალაქო ტრაფარეტები კედლებზე ფემინისტურ თემებზე. ეს მათი პირადი ინტერესი იყო. მაგალითად, მე თუ ჩავდივარ საქართველოში, თბილისში, ჩემთან ურთიერთობას აწყობენ ფონდების, ორგანიზაციების მხრიდან, სადაც არის რაღაც პროგრამები, და მე იქ უნდა შევხვდე ამ პროგრამებს, ერევანში კი, ჩვენ ვხვდებოდით პრივატულ სივრცეებში, ურთიერთობანი გვქონდა სხვადასხვა თემებზე, ისეთი შეგრძნება იყო, რომ რესურსები იყო ნაკლები, სურვილი კი რაღაცის გაკეთებისა – მეტი.

**კატერინა პროკოფიევა:** საქართველოში, როგორც თქვენ ამბობდით, როდესაც აწყობდით მასტერკლასს, ქალებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ კონტროლი მათი განხორციელებისათვის ეკლესიის მხრიდან, საზოგადოების მხრიდან. ამანაც მე გამაოცა, ვინაიდან საქართველო არსებითად ითვლება ყველაზე წინწაწეულ ქვეყნად ამ თვალსაზრისით, ქალებთან დამოკიდებულებაშიც: თქვენ ასე არ მოგეჩვენათ?

**ვიქტორია ლომასკო:** რაღაც მომენტში მე ვიჯექი ახალი ნაცნობების კომპანიაში – მეტად ახალგაზრდა ადამიანებთან ერთად, მათი რაოდენობა 20-ზე მეტი იქნებოდა, იყვნენ ქალიშვილებიც და ჭაბუკებიც, – ვიჯექით თბილისის ცენტრში ერთ-ერთ ყველაზე მოდურ ადგილას, და ერთი ჭაბუკი შემეკითხა: „გინდა, გაგიმჟღავნო ყველაზე დიდი საიდუმლოება თქვენი რეპორტაჟისათვის? უმრავლესობა, ვინც აქაა, როგორ მოდურადაც ისინი აქ არ უნდა გამოიყურებოდნენ, ყველასაგან მალავენ, რომ მათ აქვთ სექსუალური ურთიერთობანი, თუ ასეთი ურთიერთობანი არის, და მათმა მშობლებმა ამის შესახებ არაფერი იციან, ამის ჩვენებაც არ შეიძლება“. ესე იგი, შეიძლება გამოიყურებოდე მეტად მიმზიდველად და ატარებდე საკმაოდ ღია ტანსაცმელს, გქონდეს რაღაც მოდური თმის ვარცხნილობა, პირსინგი ან ტატუირება, მაგრამ ამ დამოკიდებულებაში კონტროლი მაინც არის.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

## დედამიწის ზურგზე



### რომის მერი პირველად ქალი გახდა!

ოპოზიციური „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობიდან“ კანდიდატმა ვირჯინია რაჯიმ მიიღო ხმების უმრავლესობა იტალიის დედაქალაქის მერის არჩევნებზე. მისმა მეტოქემ – კანდიდატმა იტალიის მმართველი პარტიიდან რობერტო ჯაკეტიმ უკვე აღიარა თავისი დამარცხება. თავად ოპოზიციონერმა თავის გამარჯვებას „ისტორიული მომენტი“ უწოდა.

### მექსიკაში პროტესტის მონაწილე მასწავლებელთა შეტაკების დროს პოლიციელებისგან ექვსი კაცი დაიღუპა

ცნობა დაღუპულების შესახებ დაადასტურეს პრესკონფერენციაზე ეროვნული საკოორდინაციო ორგანიზაციის მუშაკებმა განათლების სფეროში. ამ ორგანიზაციის წევრები რეგულარულად აწყობენ საპროტესტო მასშტაბურ აქციებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მანიფესტაციები ხშირად გადაიზრდება ხოლმე შეტაკებაში წესრიგის დამცველებთან.

### გაერო: 2015 წელს მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვმა სარეკორდო დონეს მიაღწია

ომებმა და კონფლიქტებმა აიძულეს 65,3 მილიონი ადამიანი, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები შარშან. 2014 წლის შედეგების მიხედვით, იძულებით გადაადგილებულთა ოდენობამ 59,5 მილიონი კაცი შეადგინა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტით გაიზარდა.

### ავღანეთში სამი აფეთქების ხმა გაისმა: დაიღუპა 22 კაცი, მათ შორის ნეპალის საელჩოს თანამშრომლებიც

პირველი აფეთქების ხმა გაისმა პული-ჩარხის რაიონში ქაბულის აღმოსავლეთში, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა შეუტიეს ნეპალის საელჩოს მიკროავტობუსს. მეორე აფეთქება მოხდა ქვეყნის დედაქალაქის სამხრეთ საზღვარზე. ტერორისტების მიზანი იყო პარლამენტის დეპუტატი. სულ ცოტა 8 კაცი დაიღუპა და დაახლოებით 40 დაიჭრა მესამე აფეთქების შედეგად ბადაღშანის პროვინციაში.

### სირიის ჯარებმა ბოევიკებს წაართვეს ნავთობის საბადო რაკისკენ მიმავალ გზაზე

სირიელი სამხედროები კვლავ უტევენ ქალაქ რაკას, რომელიც ფაქტობრივად „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქია. ექსპერტებმა დამასკოში, რომლებმაც იკისრეს ნავთობსაბადოებზე კონტროლი, ეს შეაფასეს, როგორც დიდი სტრატეგიული წარმატება რეჟიმის ჯარებისა.

### მერკელს იმედი აქვს, მოასწროს „ნორმანდიის ოთხეულის“ შეკრება ნატოს ივლისის სამიტის წინ

„ნორმანდიის ოთხეულის“ ქვეყნების ლიდერები უკანასკნელად შეიკრიბნენ მინსკის შეთანხმებათა განხილვისათვის შარშან ოქტომბერში. გერმანიის მთავრობაში იმედი აქვთ, რომ ახალი შეხვედრა საშუალებას მისცემს განტვირთონ დაძაბულობა რუსეთსა და დასავლეთს შორის.



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

**კრედიტის/სესხის No.: IDA5245-GE; IBRD 8263-GE**

**პროექტის No.: P130413**

**დავალების სახელწოდება: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისი-ბაკურციხე, წნორი-ლაგოდეხი გზის და დეტალური პროექტის მომზადება თბილისი-საგარეჯოს და საგარეჯო-ბაკურციხის გზების განახლებისთვის**

**კონტრაქტის N: EWHIP-4/CS/QCBS-06**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისი – ბაკურციხე, წნორი-ლაგოდეხი გზის და დეტალური პროექტის მომზადება თბილისი-საგარეჯოს და საგარეჯო-ბაკურციხის გზების განახლებისთვის “.**

**დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 17 თვე, მათ შორის: 5 თვე** განსაზღვრულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებისთვის (აღნიშნული მოიცავს დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის და დამტკიცების დროსაც, დაახლოებით 10 კალენდარული დღე თითოეული ანგარიშისთვის), **6 თვე** დეტალური პროექტის მომზადებისთვის და საბოლოო პროექტის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ **180 დღე** საბოლოო განახლებული/შესწორებული განსახლების სამოქმედო გეგმის წარმოსადგენად. ტექნიკურ დავალებაში დეტალურად იქნება განსაზღვრული დავალების თითოეული აქტივობის ხანგრძლივობის შესახებ.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible individual consultants to express their interest for the following Consultancy Service: **Feasibility Study and Detailed Design for E60 Highway Section from Natakhtari to Rustavi (Tbilisi Bypass).**

Approximate duration of the assignment: 15 months.

Selection will be done according to the recruitment of individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)

The proposals will be submitted by means of the ADB web page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=128838 not later than **July 2, 2016.**

**საქართველო**

# საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა

**კრედიტის/სესხის** No.: 2843-GEO

**დავალების სახელწოდება: E60 ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავი გზის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადება (თბილისის შემოვლითი გზა)**

**კონტრაქტი/** RFP No: RCIP/CS/QCBS-19

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: E60 **ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავი გზის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადება (თბილისის შემოვლითი გზა)**.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 15 თვე.

შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, (რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers),

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილ უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=128838 არაუგვიანეს 2 ივლისი, 2016 წელი.

---

**GEORGIA**

# ROAD CORRIDOR INVESTMENT PROGRAM

Credit/Loan No.: 2843-GEO

**Name of the Assignment: Preparation of Feasibility Study and Detailed Engineering Design, Environmental Impact Assessment, Detailed Land Acquisition and Resettlement Plan and Bidding Documents for Construction of Batumi Bypass-Sarpi (Border of Turkey) section of International E-70 Road**

Contract/ RFP No: RCIP/CS/QCBS-16

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Road Corridor investment Program (RCIP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible individual consultants to express their interest for the following Consultancy Service **Preparation of Feasibility Study and Detailed Engineering Design, Environmental Impact Assessment, Detailed Land Acquisition and Resettlement Plan and Bidding Documents for Construction of Batumi Bypass-Sarpi (Border of Turkey) section of International E-70 Road.**

Approximate duration of the assignment: 9 months.

Selection will be done according to the recruitment of individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)

The proposals will be submitted by means of the ADB web page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=128860 not later than **July 2, 2016.**




# „ცისცინათელა“ გარდაცვლილი სამხედროების შვილებს მასპინძლობს

**გასართობმა პარკმა „ცისცინათელამ“ მეათე საიუბილეო სეზონის გახსნაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში, საერთაშორისო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებს და ოჯახის წევრებს III ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებთან ერთად უმასპინძლა.**

**შეკვეთილში მდებარე პარკში რამდენიმე ახალი ატრაქციონი წლევანდელ სეზონზე, პირველად, სწორედ, გმირების შვილებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ამოქმედდა. გასართობმა ცენტრმა სტუმრებს ანიმატორებთან ერთად საინტერესო შოუც შესთავაზა. პატარა სტუმრებს კომპანია „ბარამბოს“ მიერ მომზადებული სპეციალური საჩუქრები თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა მაია ქავთარაძემ და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის წარმომადგენელმა შალვა თევდორაძემ გადასცეს. პარკ „ცისცინათელაში“ ღონისძიების დასრულების შემდეგ გმირების შვილებს და ოჯახის წევრებს III ქვეით ბრიგადაში ვახშმით გაუმასპინძლდნენ.**

# კახეთში ალოობა დაიწყო

**კახეთის რეგიონში ხორბლის აღება დაიწყო. მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალია. გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია თავთავიანი კულტურების ნათესი ფართობები. საქართველოს მასშტაბით ხორბლის ნათესი ფართობები 80 000 ჰა-ზე მეტს, ხოლო ქერის 40 000 ჰა-ზე მეტს შეადგენს. სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ წნორში ხორბლის აღების პროცესს დაესწრო და ფერმერებს შეხვდა.**

**„უამინდობის გამო ხორბლის აღება ცოტა გვიან დაიწყო, მაგრამ ყველა სამსახური აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ მოსავლის აღება და დაბინავება შეუფერხებლად მოხდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მარცვლეული კულტურების წარმოების ხელშეწყობის არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ახორციელებს, მათ შორის ჯიშთა გამოცდის მიმართულებით და უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული შედეგები უკვე სახეზეა. მოსავლის შეუფერხებლად აღებისთვის პროცესში აქტიურად არის ჩართული შპს „მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთვის კახეთის რეგიონში 60, საქართველოს მასშტაბით კი – 86 ერთეული შპს „მექანიზატორის“ კომბაინია მობილიზებული. სამუშაოებში ჩართულია კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც.**

# წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა ზუგდიდში

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ ზუგდიდში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.**

**უწყების ინფორმაციით, ზუგდიდში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა დღემდე არ არსებობდა. პროექტის ფარგლებში, მოხდება წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის, სატუმბი სადგურისა და რეზერვუარების მშენებლობა. ასევე, მოეწყობა წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენი.**

**სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა მოუგვარდება და ზუგდიდის მცხოვრებლები 20-24-საათიანი წყალმომარაგებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტი, რომლის ღირებულება 88 მლნ ლარზე მეტია, 2018 წელს დასრულდება. სამუშაოებზე 150-მდე ადამიანი დასაქმდა.**



ევრო – 2016



# სათქმელს რა გამოლევს

**განვლილი უქმეები ალბანელთა ისტორიული გამარჯვებითა და კრიშტიანუ რონალდუს ვერგატანილი პენალტით აღინიშნა, თუმცა, საფრანგეთში მიმდინარე ევროპულ საფეხბურთო ფორუმზე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტებიც მოხდა.**

მათგან ფავორიტების – ბელგიისა და, განსაკუთრებით, ესპანეთის შთამბეჭდავი თამაშია გამოსარჩევი, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით – 3:0 გატეხეს კერკეტი კაკლები, შესაბამისად, ირლანდია და თურქეთი.



© EMPICS Sport

ასე რომ, სპორტულ სამყაროში დამკვიდრებული მოსაზრება – ნაღდი ტურნირი პლეი-ოფებიდან იწყებაო, უსაფუძვლო ნამდვილად არაა – ჯგუფური რაუნდის ფორმატი ხომ ნახევარი ძალით ბურთაობისა და ერთი, ზოგ შემთხვევაში კი ორი წაფორხილების უფლებას იძლევა.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ოჰაიოში მონარქიამ შეაღწია

**„კლივლენდ კავალიერზს“ 36 სეზონი დასჭირდა, პირველად რომ მოეპოვებინა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობა. ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტიც: ნბა-ს ისტორიაში, ასევე პირველად, გამარჯვებულმა ფინალურ სერიაში მეტოქეს 1:3 ჩამორჩენა გაუბათილა და ისე ავიდა ოლიმპზე – 4:3.**

გადამწყვეტ შეხვედრას შარშანდელი ტრიუმფატორის „გოლდენ სტეიტ ვარიორზის“ მშობლიურმა „ორაკლ არენამ“ უმასპინძლა და პირველი ნახევრის შემდეგ ჰაერში ოკლენდელთა დუბლის სუნი დატრიალდა – 49:42, რაც გრინის დამსახურება გახლდათ (მან საბოლოოდ 32 ქულას, 15 მოხსნასა და 9 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი).



შესვენებამ სასიკეთოდ იმოქმედა ტაირონ ლიუს გუნდზე, განსაკუთრებით კი მის ლიდერებზე – „მეფე“ ლებრონ ჯეიმსზე (სამმაგი დუბლი: 27 ქულა და 11-11 მოხსნა და შედეგიანი გადაცემა) და კაირი ირვინგზე (26 ქულა. სწორედ მან ჩააგდო ბოლო წუთზე „ოქროს“ სამქულიანი) – 93:89. ოქროსშტატელები გარკვეულწილად ტრავმირებული ძირითადი ცენტრის ბოგუტის არყოფნამ და ქარიზმატული ფიგურის კარის მჭლე მონაგარმა (17 ქულა) დააღალატა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ „კავალერთა“ სახით პროფესიულ კალათბურთს ღირსეული გვირგვინოსანი მოევლინა.

დავძენთ, რომ სატიტულო მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ ჯეიმსი დასახელდა, რომელმაც ოჰაიოში დაბრუნება მესამე „ოქროს ბეჭდით“ აღნიშნა (წინა ორი – „მაიამიში“).

**ვიტალი ჯაფარიძე**

რეტრო

# სწორუპოვარი მხედარი

**გვეჯე ივანიძე სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში ცხოვრობდა და როგორც ყველა მეგრელს, ცხენის სიყვარული ლამის დაბადებიდან დაჰყვა. კარგა გამოცდილი მხედარივით, ისე შემოევლებოდა ცხენს, მასზე გაბედულად ასრულებდა სიცოცხლისთვის საშიშ სხვადასხვა ტრიუკებს.**

1927 წელს ქართული სპორტის ცნობილი ენთუზიასტის ისაკ კიზირიას თაოსნობით ახალსენაკში ჩამოაყალიბა პირველი საცხენოსნო სპორტული გუნდი. მარულა, თარჩია, მოქნევა – ძირითადად ამ სახეობებში მონაწილეობდა შეჯიბრებებში ახლადშექმნილი გუნდი, რომლის ლიდერი და წამყვანი ცხენოსანი 22 წლის გვეჯე ივანიძე იყო. იმ დროს დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნული სახეობების აღორძინებას, ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები, ახალგაზრდობა გატაცებით ითვისებდა ყველაფერ ახალს.

გვეჯე ივანიძე მეტ-ნაკლებად ყველა საცხენოსნო სახეობაში ოსტატდებოდა. რადგან თანატოლებიდან (და უფროსებიდანაც) ყველაზე გამორჩეული მხედარი იყო, რაიონის ცხენოსანთა ნაკრებსაც ჩაუდგა სათავეში და მისი ლიდერობით რაიონულ პირველობაზეც არაერთხელ ისახელა თავი, სენაკელ ცხენოსნებთან ერთად საქართველოს ჩემპიონობაც მრავალგზის მოუგია ცხენბურთსა და ისინდში.

არც საკავშირო სარბიელი იყო გვეჯე ივანიძისთვის უცხო. ერთ-ერთ ასპარეზობაში მიღწეულმა წარმატებამ, ქართული ჯიშის და ოსტატობის წარმოჩენამ არც საბჭოთა კავშირის მარშალი სემიონ ბუდიონი დატოვა გულგრილი და მისგან პირადი საჩუქარი და მადლობაც დაიმსახურა.



გვეჯემ ახალგაზრდული ასაკიდანვე გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი, მრავალი საცხენოსნო შეჯიბრების სულისჩამდგმელი და თაოსანი იყო. 1947 წელს მისი თავკაცობით, ორმოცამდე მხედრის მონაწილეობით მოეწყო ორგანიზებული ლაშქრობა ცხენებით სენაკიდან თბილისამდე. გვეჯეს „ჩერქეზს“ აღვირი სულ არ სჭირდებოდა, იგი მხედრის ტანის მოძრაობით გრძნობდა, როგორ მოქცეულიყო.

გვეჯემ 1950 წელს მოსკოვში გამართულ ყაბახში ორი მოოქროვილი ვერცხლის თასი დაისაკუთრა – დიდი სისწრაფით მქროლავი ცხენიდან მშვილდისრით ერთმანეთის მიყოლებით რომ ჩამოაგდო მაღალი, ექვსმეტრიანი ანძის წვერზე დადგმული თასი! ქართული ცხენოსნური სახეობის უბადლო შესრულებამ მოსკოველი მაყურებლის აღტაცება გამოიწვია! თუმცა, პირველი ჩამოგდების შემდეგ ტრიბუნებზე აქა-იქ გაისმა, არ ითვლება, ისარი შემთხვევით მოხვდაო. ივანიძემდე იმდენი მხედრის ნატყორცნი ისრები ცვიოდა მარცხნივ თუ მარჯვნივ, რომ ზოგიერთ მაყურებელს ეჭვი გაუჩნდა, ქართველის ისარი შემთხვევით მოხვდა თასსო. ქართულჩოხოსანი მხედარი მსაჯებთან მივიდა და რაღაც უთხრა. რამდენიმე წუთში თასი ისევ ანძის კენწეროზე აასკუპეს. გვეჯემ კვლავ გამოაჭენა ცხენი, მოზიდა ისარი და ისევე ბზრიალით დაუშვა ძირს, როგორც პირველ შემთხვევაში. სწორედ ამის შემდეგ იხუვლა ტრიბუნებმა!



იმავე მოსკოვის იპოდრომზე მოწყობილ ცხენბურთელთა თამაშში კვლავ საუკეთესო იყო გვეჯე ივანიძე, რომლის მომცრო ტანის ცხენი უმალ, თითქოს გუმანით გრძნობდა თავისი მხედრის ყოველ სურვილს. შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები ყაბახში, ჩეხვაში, თარჩიაში და გვეჯე ყველგან პირველი იყო, არადა, მთელი საბჭოთა კავშირის უძლიერესი მხედრები მონაწილეობდნენ.

1962 წელს გვეჯემ გაიმეორა 12 წლის წინანდელი წარმატება. მოსკოვის იპოდრომზე, ისევ ყაბახში, მან კვლავ ორჯერ ჩამოაგდო მაღალი ანძიდან ისრით თასი. ზუსტად განმეორდა ისტორია, ტრიბუნები ამჯერადაც დაეჭვდნენ და ქართველ ვაჟკაცსაც კიდევ ერთხელ მოუხდა თავისი მაღალი ოსტატობის ჩვენება და მოსკოველი გულშემატკივრების გაოცებას კვლავ არ ჰქონდა საზღვარი!

მისი ტალანტისა და ოსტატობის შესახებ წერდნენ არა მხოლოდ რესპუბლიკური გაზეთები, არამედ საკავშირო სპორტული გაზეთი „Советский Спорт“ და საკავშირო სპორტული ჟურნალი „Физкультура и спорт“-იც.

გვეჯე ივანიძე სახელგანთქმული ადამიანი ბრძანდებოდა, ყველასგან დაფასებული. იგი თავისი განუყრელი „ჩერქეზით“ ხშირად მიუწვევიათ სამთავრობო სპორტულ ღონისძიებებზე, სადღესასწაულო აღლუმებში მეწინავე მხედრად!

სიჭარმაგეში შესულმა გვეჯე ივანიძემ არაერთი სახელოვანი მხედარი აღზარდა, რომლებმაც მრავალჯერ ასახელეს ღვაწლმოსილი მწვრთნელი.

**დავით ჭელიძე**

**სურათებზე: 1951 წელი. გვეჯე ივანიძეს აჯილდოებს ივან ტიულენევი; 1959 წელი. პუშბოლის მატჩი საქართველოსა და სომხეთის გუნდებს შორის. მარჯვნივ – გვეჯე ივანიძე.**

ინტერნეტიდან

# მისის ტიტულიდან - კომენტატორობამდე

**და იდგა ჩვენი წელთაღრიცხვით 2004 წელი, როდესაც იტალიის საუკეთესო ლამაზმანად და თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ მის იტალიად მშვენიერი, მაშინ სულ ახალგაზრდა, ულამაზესი და ხელიხელსაგოგმანები ცქვიტი ასული კრისტინა ჩიაბოტო აირჩიეს. ის დიდებული წუთები იყო!**

მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ კრისტინა ჩიაბოტო აპენინებზე კვლავაც პოპულარულია. ამჟამად ეს ქალი, არც მეტი არც ნაკლები, სპორტული გადაცემის წამყვანად მუშაობს და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ეს საქმე საკმაოდ კარგადაც გამოსდის.

კრისტინა ჩიაბოტო, როგორც ჩანს, მართლაც გონიერი ქალია და მოხერხებული ვინმეც უნდა იყოს. მან ტელევიზიაში ბევრ სფეროში გამოსცადა საკუთარი თავი – ხან რეალითი შოუ მიჰყავდა, ხან კულინარიული გადაცემა და ხან რა. საბოლოოდ კი თავისი თავი სწორედ სპორტული კომენტატორის ამპლუაში იპოვა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



ფრთხილად!

# მაინც, რატომ დადის ამდენი მკვლელი მანქანა საქართველოში?!

## გახშირებული ავტოავარიები და გაზრდილი მსხვერპლი გზებზე

**საქართველოს გზებზე არსებული საგანგაშო მდგომარეობის თემას „კომერსანტი“ კიდევ ერთხელ უბრუნდება, რადგან ჯერჯერობით არ ჩანს არანაირი ნიშანი იმისა, რომ ხელისუფლება აპირებს კონტროლის გამკაცრებას კანონდამრღვევი მძღოლებისა და ქვეითების მიმართ. ასეთი მიდგომების ფასი მოქალაქეების უსაფრთხოებაა, რომელიც ყოველდღიურად უარესდება.**

**საგანგაშოა ის, რომ კონტროლის მექანიზმების შესუსტებას ემატება კანონმდებლების მიერ ფაქტობრივად პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმა: ისინი პრობლემების მთავარ მიზეზებად მოქალაქეების თვითშეგნებასა და ძველ ავტოპარკს ასახელებენ, ხოლო იმაზე, რომ ორივე პრობლემა კანონმდებლობამ უნდა მოაგვაროს, არ საუბრობენ.**

ის მაღალი ყოფითი კულტურა, რომელსაც დასავლეთის საზოგადოებებმა მიაღწია, სწორი კანონებისა და მათი ეფექტური აღსრულების შედეგია.

იმ დროს, როდესაც ქვეყნის ცხოვრების რომელიმე სფეროში ვითარება უარესდება, ხელისუფლება იწყებს ფიქრს ამ სფეროში ახალი რეგულაციების შემოღებაზე.

მაგალითად, საქართველოში ღვედის გაკეთება უკვე ყოველდღიური ყოფითი კულტურის ნაწილად იქცა. თუმცა ეს შედეგი ვერც საინფორმაციო კამპანიებმა და მოქალაქეების „თვითშეგნების“ ამაღლების სხვა საშუალებებმა ვერ მოიტანა. შედეგი მხოლოდ კანონის შემოღებისა და ჯარიმების ამოქმედების შემდეგ დადგა.

ქართველი კანონმდებლები კი გზებზე არსებულ ვითარებაზე საუბრისას ხელს ძირითადად საზოგადოებისკენ იშვერენ და აცხადებენ, რომ მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების გარეშე ავტოავარიების რაოდენობას ვერც პატრული და ვერც გამკაცრებული კანონმდებლობა ვერ შეამცირებს.

საქართველოს ხელისუფლება უკვე წლებია, თავს იკავებს სავალდებულო ტექდათვალიერების წესის ამოქმედებისგან. ყოველ მომდევნო წელს მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ წესის ამოქმედებამ კიდევ ერთი წლით გადაიწია. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მიზეზი მარტივია — ხელისუფლებას არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა და ამომრჩეველთა ხმის დაკარგვა არ სურს. ასეთი დამოკიდებულების შედეგია დაბინძურებული ეკოლოგია, სხვადასხვა დაავადებების გაზრდილი მაჩვენებელი და გზებზე დაღუპული ასობით ადამიანი.

**სტატისტიკა კი ასეთია: 2015 წელს საქართველოში 6 500-მდე ავტოსაგზაო შემთხვევაა რეგისტრირებული. ეს, დაახლოებით, ხუთასით მეტია, ვიდრე იყო 2014-ში. ავტოავარიების შედეგად დაიღუპა 602 ადამიანი, ხოლო დაშავდა ათი ათასამდე. დაღუპულებს შორის 28 ბავშვია.**

2012 წელს ავტოავარიებში დაიღუპა 605 ადამიანი, 2013-ში — 514, 2014-ში — 511, 2015 წელს ამ მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა და 602 ადამიანი შეადგინა.

რამდენიმე თვის წინათ ითქვა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდა, იგულისხმებოდა მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა, ასევე მართვის მოწმობებზე ქულათა სისტემის დაწესება. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზადაა, მიიღოს არაპოპულარული გადაწყვეტილებები. თუმცა, ცვლილებების დანერგვა გადაიდო. რამდენიმე თვეა, პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია. ექსპერტების აზრით, მთავრობას მოახლოებული არჩევნების წინ მოსახლეობის „გაღიზიანება“ არ სურს.

რა გააკეთა პარლამენტმა იმისთვის, რომ სიტუაცია გამოსწორებულიყო? „კომერსანტმა“ ამ კითხვებით პარლამენტის დეპუტატებს მიმართა. მათი პასუხებიდან გამომდინარე, ისინი პასუხისმგებლობის დიდ ნაწილს ცალკეულ მოქალაქეებს აკისრებენ. ისინი, მართალია, საკუთარ პასუხისმგებლობაზეც საუბრობენ, თუმცა, ეს ცნება მათთვის საკმაოდ ზოგადია და მათი მხრიდან რა კონკრეტულ ინიციატივებში გამოიხატება, არ საუბრობენ.

პარლამენტის უმრავლესობის წევრი **დავით ლორთქიფანიძე** პატრულის საქმიანობით კმაყოფილია და არც ჯარიმების ეფექტს აღიარებს. ის მიიჩნევს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების პირველი მიზეზი გაზრდილი და მოძველებული ავტოპარკია. მისი თქმით, ერთი მხრივ, კარგია, რომ ქვეყანაში დიდი ავტოპარკია, მაგრამ საქართველოს გზებს შესაბამისი გამტარუნარიანობა არ აქვს.

**„რაც მეტია მძღოლი, მეტია დაუკვირვებელი მძღოლიც, რომელიც საბოლოო ჯამში იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევებს. რომ გითხრათ, რომ პატრულია ავარიების გახშირების მიზეზი, არ ვიქნები მართალი, რადგან არ მგონია, პატრული მოძრაობის წესების დარეგულირებაში არ იღებდეს მონაწილეობას, მაგრამ მარტო დასჯა, ვფიქრობ, არ არის საკმარისი. მძღოლები უნდა ვიყოთ ყურადღებიანები და გავუფრთხილდეთ არამარტო საკუთარ თავს, არამედ სხვა ადამიანების სიცოცხლესაც“,** — აცხადებს დავით ლორთქიფანიძე.

მისივე თქმით, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებისთვის საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი აგიტაცია, რეკლამა ტელევიზიით, რომელიც საზოგადოებას ყოველდღიურად შეახსენებს, რა შედეგებით სრულდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები.

**„საზოგადოების თვითშეგნებაა მთავარი და შემდეგ უკვე სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ნაბიჯები“,** — აცხადებს დავით ლორთქიფანიძე.

დეპუტატი **კახა ოქრიაშვილი** ფიქრობს, რომ გახშირებული ავტოავარიების მიზეზი უპირველესად ისაა, რომ ბევრ ადგილზე გზის საფარის აღდგენა მიმდინარეობს, მძღოლები კი ასეთ მონაკვეთებზე წესებს ძირითადად არ იცავენ.

**„ხალხი არ ემორჩილება წესებს, მაგალითად იმას, რომ მაქსიმუმ 110 კმ/სთ-სიჩქარით უნდა იარონ მანქანით ტრასებზე. ვხედავ, რომ ხალხი არ იცავს ამ წესებს. რეაგირება არის, ყველგან დგას კამერები, როგორც შემაკავებელი ფაქტორი, პატრული მოძრაობს, მაგრამ ყველა ადამიანს კუდში ვერ გაეკიდება პატრული“,** — აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

დეპუტატი მისი კოლეგის მსგავსად ფიქრობს, რომ ცნობიერების ასამაღლებლად მარკეტინგული და საგანმანათლებლო აქტივობები უნდა განხორციელდეს.

პარლამენტარის თქმით, შს სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე რეგულაციებს ამკაცრებდა, აუცილებლად უნდა იყოს შემოღებული. მისი განმარტებით, პარლამენტში ამ კანონპროექტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ის შეიძლება ჩავარდნილიყო, ამიტომ შეჩერების და მისი დახვეწის გადაწყვეტილება მიიღეს.

**„შეიძლება, არაპოპულარული იყოს ეს ზომები, მაგრამ მოგვიწევს მათი გატარება. ქულების სისტემა ამკაცრებდა წესებს, მთლად გამართული არ იყო, მაგრამ მე ზოგადად მომხრე ვარ ამ კანონპროექტის. თუ ადამიანი სისტემატურად არღვევს წესრიგს, მას უნდა ჩამოერთვას მართვის უფლება. ამასთან, მარჯვენასაჭიანების აკრძალვა უნდა მოხდეს. შუა გზაში დადიან ეს ადამიანები, რადგან სხვანაირად ვერ ხედავენ გზას, რაც იწვევს ავარიებს“,** — ამბობს კახა ოქრიაშვილი და აღნიშნავს, რომ შს სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონი ძალიან მკაფიო უნდა იყოს და არ უნდა იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას.



ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე** კი რეგულაციების გამკაცრებას აუცილებლად მიიჩნევს, თუმცა, კომენტარს ისიც ცალკეული მოქალაქეების პასუხისმგებლობის თემით ასრულებს.

**„როცა სპეცმანქანა მოძრაობს, როგორიცაა სასწრაფო, ამას არ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი რეგულაციები, მაგრამ დაგვჭირდა და შემოვიტანეთ. შედეგად, თუ დღეს მძღოლები არ დაუთმობენ გზას სპეცმანქანას, ისინი ჯარიმდებიან“,** — ამბობს ხუნდაძე.

მისივე თქმით, სიტუაციის გამწვავების მიზეზი ძირითადად გაზრდილი ავტოპარკია, თუმცა, ეს გახშირებული ავარიების გასამართლებელი საბუთი არ არის.

ალბათ, მოძრაობის წესების გარკვეული კორექტირება იქნება საჭირო. მე, ზოგადად, რეგულაციების გამკაცრების მომხრე არა ვარ ხოლმე, მაგრამ როდესაც ეს ეხება ადამიანის სიცოცხლეს, აქ საზრიანი და დროული გამკაცრება კარგი იქნება.

**კომერსანტი**

სანთელი

# გარდასული ვარსკვლავი

## ვერა წიგნაძე



გარდაიცვალა ლეგენდარული ბალერინა, ქართული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების, საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი **ვერა წიგნაძე**.

ვერა წიგნაძის ღვაწლი ქართული ბალეტის განვითარებაში ფასდაუდებელია. მან ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა. ქალბატონი ვერას მიერ სცენაზე გაცოცხლებული გმირები გამოირჩეოდნენ პოეტურობით, რომანტიკული გამომსახველობით, მოძრაობის სიმსუბუქითა და სცენიური მომხიბვლელობით.

დაიბადა 1924 წლის 24 სექტემბერს. 1943 წელს დაამთავრა ბაქოს ქორეოგრაფიული სასწავლებელი. 1943-1946 წლებში ცეკვავდა ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1946 წლიდან კი ვახტანგ ჭაბუკიანის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა და მას შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი მოცეკვავე და ვახტანგ ჭაბუკიანის უცვლელი პარტნიორი გახდა.

ვერა წიგნაძემ შექმნა სრულიად ახალი და უნიკალური პერსონაჟები საბალეტო სპექტაკლებში. მისი კეთილი ფერია (გ. კილაძის „სინათლე“), ირემა (დ. თორაძის „გორდა“), დეზდემონა (ა. მაჭავარიანის „ოტელო“), ნატაშა (დ. თორაძის „მშვიდობისათვის“), დემონი (ს. ცინცაძის „დემონი“), ჟიზელი (ა. ადანის „ჟიზელი“), ლაურენსია (ა. კრეინის „ლაურენსია“), ოდეტა-ოდილია (პ.ჩაიკოვსკის „გედების ტბა“), ნიკეა (ლ. მინკუსის „ბაიადერა“), ავრორა (პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“) დაუვიწყარი როლებია, რომლებიც სამუდამოდ დარჩა მაყურებლის მეხსიერებაში.

ვერა წიგნაძის თითქმის მთელი ცხოვრება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არის დაკავშირებული. მან ამ თეატრის სცენაზე სამი ათეული წელი იცეკვა, შემდეგ კი პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა.

2007 წელს პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილის ინიციატივით, გედის თანავარსკვლავედში ორ უსახელო ვარსკვლავს ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის სახელები დაერქვა. ორი ქართველი განუყრელი ვარსკვლავი საერთაშორისო ასტრონომიულ კატალოგში შეიტანეს და მათი სახელები მარადიულად კაშკაშებს.

21 ივნისს, 14:00 საათზე, ვერა წიგნაძეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გამოასვენებენ და თეატრის ეზოში დაკრძალავენ.

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;**
**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.**

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ბალერინა, ქართული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის, საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი**

**ვერა წიგნაძე**

**გამოსვენება 21 VI, 14 სთ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან. დაკრძალვა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ეზოში.**

**ვალერი კანკია, ლამარა შველიძე, ლია სისვაძე, თენგიზ ოქროცვარიძე, აკაკი ლეკიშვილი, ოთარ გამყრელიძე, თამაზ ჯებაშვილი, გოგი გოგოლაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოჯახს ღირსეული პიროვნების**

**თემურ ლოლაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## რუსმა ოკუპანტებმა კიდევ ერთი ქართველი დააკავეს

კიდევ ერთი გატაცების ფაქტი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში. რუსმა ოკუპანტებმა მამაკაცი მაშინ დააკავეს, როდესაც ის საქონელს მწყემსავდა. ინფორმაცია ვიტალი ჯოჯიშვილის ოჯახს გუშინ დილით აცნობეს. მათი ინფორმაციით, მამაკაცი მთელი დღე საქონელს სოფლის კუთვნილ ტერიტორიაზე მწყემსავდა, საღამოს კი სახლში არ მისულა. მისი ახლობლების თქმით, ის სავარაუდოდ, ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააკვეს.

# გრძელდება გელათის მონასტრისა და გეგუთის სასახლის რეაბილიტაცია



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ გელათის მონასტერი, გეგუთის სასახლის სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური გათხრები დაათვალიერა.**

ამ ეტაპზე გეგუთის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს; ასევე, ეწყობა არქეოლოგიური (ვიზიტორთა) ცენტრი და საიტი. ივნისსა და ივლისში ჩატარდება გეგუთის სასახლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, რომელიც არქეოლოგიურ სამუშაოებს გულისხმობს, მეორე ეტაპი კი, რომელიც აღმოჩენილი მასალების კვლევას მოიცავს, აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება. გეგუთის სასახლეზე არქეოლოგიურ სამუშაოებს არქეოლოგი როლანდ ისაკაძე ხელმძღვანელობს.



გეგუთის სასახლის კომპლექსთან 2015 წელს შუშის კონსტრუქცია დამონტაჟდა, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს, ძეგლი პირვანდელი სახით, პერსპექტივაში აღიქვას. გამოყენებული ტექნოლოგია საქართველოში უნიკალურია. ძეგლზე აგრეთვე დამონტაჟდა გარე განათება.

კულტურის მინისტრმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მოინახულეს ასევე გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, სადაც უკვე რამდენიმე წელია, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს — ღმრთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათზე შეიცვალა დაზიანებული სარკმლის ალთები; მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარეობს გუმბათის ყელის ქვის კონსერვაციის სამუშაოები; აშშ საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით კი მთავარი ტაძრის გუმბათი მოჭიქული კრამიტით გადაიხურება; კონსტრუქციულად გამაგრდა გუმბათი.

## ფიზიკური დაპირისპირება სასამართლოში

მაგდა პაპიძის პროცესის დაწყებამდე სასამართლოში დაპირისპირება მოხდა. ერთმანეთს მაგდა პაპიძის და ლანა პაპიძე და დედა ლია შამუგია და ომარ ქაფიაშვილის ოჯახის წევრები დაუპირისპირდნენ. ბრალდებულის დედასა და ომარ ქაფიაშვილის ახლობელს შორის მცირე ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა. სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც მანდატურებმა ომარ ქაფიაშვილის ოჯახის წევრები სხდომათა დარბაზში შეიყვანეს.

## ძილში... მუნჯური ლაპარაკი



**დაბადებით მუნჯებს, აგრეთვე იმათ, ვინც მეტყველების მმართველი თავის ტვინის ცენტრების მოშლის შედეგად დამუნჯდა, ძილში ლაპარაკი არ შეუძლიათ.**

მაგრამ ამ მდგომარეობაში ლაპარაკი შეუძლიათ იმათ, ვისაც ფსიქოგენური სიმუნჯე სჭირს, რომელიც ფსიქიკური სტრესის ან ნევროზითაა გამოწვეული.

იმ ყრუმუნჯებს კი, ვინც ჟესტებით ურთიერთობს, ჟესტიკულირება ძილშიც ისევე შეუძლიათ, როგორც სიფხიზლეში „ლაპარაკი“.

## უგუნებობის ჭეშმარიტი მიზეზი



**თურმე, ალერგია დეპრესიის რისკს ზრდის.**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ალერგიით დაავადებულებს, გუნება, ვთქვათ, თვალების წვისა და სურდოს გამო არ უფუჭდებათ. მათ ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს ალერგიის სხვა შედეგი — ესაა ორგანიზმის ქსოვილებისა და სისხლძარღვთა ანთება, რის გამო ტვინში ბედნიერების ჰორმონის შემცველობა იკლებს.

## კატა, რომელიც ხიდან ვერ ჩამოდის...

**იმის მიუხედავად, რომ კატები ხეებზე მშვენივრად დაცოცავენ, ხშირია შემთხვევები, რომ ისინი იქ — „იჭედებიან“ და ქვევით ველარ ჩამოდიან.**

აღმოჩნდა, რომ ეს მათი ბრჭყალების ფორმის გამო ხდება: ისინი ისეა მოკაუჭებული, რომ ხეზე ზევით მოძრაობის დროს საყრდენს აძლევენ, მაგრამ ქვევით დაშვებისას ველარ იჭერენ.



ზურგით ჩამოსვლა კი კატებს არ უყვართ, რადგან ვერ ხედავენ საით მოძრაობენ. თუმცა კი, ისიცაა, რომ თუ კატას ადამიანი მიეშველება, ის, ადრე თუ გვიან, ხიდან მაინც ჩამოვა კუდით წინ. ზოგიერთი მათგანი ახერხებს ამ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას და გაწაფული ხეზე მცოცავი ხდება.

## ჯერ ძილი, მერე კარგი მუსიკა



**ჯანსაღი ძილი და სწორად შერჩეული მუსიკა კაცს უფრო კეთილმოსურნეს ხდის.**

ჩინელმა მკვლევარებმა გამოსაცდელებს ერთნაირი სურათები აჩვენეს — თავდაპირველად მოუმზადებლად, ხელმეორედ კი მას შემდეგ, რაც მათ კარგად გამოიძინეს და სასიამოვნო მუსიკას უსმენდნენ. მეორე შემთხვევაში ადამიანები ნანახისადმი გაცილებით უფრო ლმობიერნი იყვნენ.

## ჭამის დრო



**ერთსა და იმავე დროს ჭამა საკვების ხარისხზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.**

გერმანელ მეცნიერთა ბოლო ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მიტოქონდრიების (მოხმარებული საკვებიდან ენერგიის გამომმუშავებელი სტრუქტურების — **რედ.**) მაქსიმალური აქტივობა 8-დან 16 საათამდეა. სწორედ ამ დროს მიღებული საკვები იწვება მაქსიმალურად ეფექტიანად.

## „ალო, ალო!“



**ურთიერთობის ყველაზე ფართო წრე კაცს 25 წლის ასაკში აქვს.**

ეს დასკვნა ფინელმა მეცნიერებმა ევროპელთა სატელეფონო ზარების ინტენსივობის ანალიზის შემდეგ გამოიტანეს. 45 წლის ასაკისთვის მეგობრული კონტაქტების ოდენობა სტაბილიზდება, შემდგომ კი კლებას იწყებს. ამასთან, ახალგაზრდობაში მამაკაცებს ქალებზე მეტი მეგობარი ჰყავთ, ასაკის მატებასთან ერთად კი ვითარება იცვლება.

## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**— რატომ?**
**— იმიტომ.**
**— უფრო კონკრეტულად?**
**— იმიტომ, რომ!**

* * *

**— გახსოვს, ამ დილით გახარებული რომ დავრბოდი ბინაში და ვყვიროდი, გასაღები ვიპოვე-მეთქი?**
**— მახსოვს.**
**— ხომ არ დაგინახავს, ამის მერე სად დავდე ის გასაღები?**

* * *

**საარსებო მინიმუმი ის თანხაა, რომლითაც ჩვენმა მილიონობით თანამოქალაქემ ერთი თვე უნდა იცხოვროს, იმათ კი, ვინც ასე გადაწყვიტა, ეს თანხა ტუალეტის ქაღალდისთვისაც არ ჰყოფნით.**



* * *

**თუ ქართველი სპორტულ კოსტიუმს ყიდულობს, ის ან ბუნებაში საქეიფოდ მიდის, ან საავადმყოფოში წვება.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.179; ევრო - 2.451;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.109;
100 რუბლი - 3.336; თურქული ლირა - 0.742;
აზერბაიჯანული მანათი - 1.427;
1000 სომხური დრამი - 5.564

**ამინდი 21 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +32 |
| თბილისი: | ღამე +16, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE